წელიწადი 1911 პირველი

ორშაბათი, 21 მარტი № 11

# თემი

ორშაბათი 21 მარტი № 11

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—2 მან 3 თვით—1 მან.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.
დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდის რედაქციაში (Головинскій просп. д. МИРЗОЕВА, № 22. ხელის მოწერ და განცხადებები მიიღება იქვე კვირა-უქმეების გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ყოველ ორშაბათს

მიიღება ხელის მოწე

1911 წლისათვის

გაზეთ თემზე

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| წლიურათ | 2 მ. 50 კ. |
| ნახევარი წლით | 2 მ. |
| სამი თვით | 1 მ. |

განცხადებათა ფასი:

| | |
|---|---|
| პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი | 15 კ. |
| უკანასკნელ გვერდზე | 10 კ. |
| ტექსტის შუაგულს | 20 კ. |
| სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა | 3 მ. |

რედაქტორ-გამომცემელი **გრიგოლ დიასამიძე.**

რედაქციის და კანტორის ადრესი: Головин. пр. д. МИРЗОЕВА, 22, ГДѢ книжный магазинъ „Новая Рѣчь".

**მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ**

## „განათლება"-ზე

(წელიწადი მეოთხე)

ჟურნალი გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა, ფართო პროგრამით, გადიდებულის ფორმატით, რომელიც შეიცავს 2—3 ბეჭდურ თაბახს. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, პედაგოგები და მწერლები. წლიური ფასი ჟურნალისა არის 3 **მანეთი**, ნახევარი წლით 2 **მანეთი**. სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ორ მანეთად**. სოფლის მასწავლებლებს, ვინც ერთბაშად გადაიხდის **სამ მანეთს**, გაეგზავნება წარსული წლის ნომრებიც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის" რედაქციაში: ტფილისის გარედ კერძო აგენტებთან.

მისამართი; Тифлисъ, Дворянская грузинская гимназія Л. Г. БОЦВАДЗЕ.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის**

ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.

ე. ს. **ვაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½—10 ს.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12½-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.

ბ. ა. **პოპოვი**—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.

ვ. ს. **სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა, შინაგანი ავად. 11½—12 ს.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.

შ. ა. **მიქელაძე**—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშვ.

გ. ვ. **სობოლევსკი**—ყოვ. დღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

**წამლობა „606"-ით**

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

Адресъ телеграммъ Sanitas

Адресъ телеграммъ Санитасъ Тифлисъ

პარფიუმერია

პეტერბურგის ტეხნო-ქიმიურ ლაბორატორიისა

საპანი თმის გასაზრდელად „კრესკო"

ო-დე-ტუალეტ „ფლერ დ, ამური".

ოდეკოლონი „ვიოლა ოდორატა"

თმის სალებავი „პრიმა ინდიანა".

## რესტორანი „კაფე-პარიზი"

ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები" სხვა და სხვ. ბუტერბროდები, ხაჭაპური.

**საუზმე პორციობით 25 კ.—50 კაპეიკამდე.**

## მინერალური წყლები

ღვინო, არაყი, მაგარი სასმელები სხვა და სხვა ქარხნების ღუდი ბოთლებით და ჭიქებით. ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი. სამარხვო საჭმელები ცალკე კარტით. თვიურად შეღავათიანი პირობებია. ფასი ზომიერია. სრული სისუფთავე და წესიერება.

პატივისცემით **თოფურია.**

## ჩვენი გაზეთის თანამშრომელთა მიმართ.

### მოვალედ ვრაცხთ გაცნობოთ:

1) თუ ფოსტით გამოგზავნილ სალიტერატურო მასალაში ფული სრულად არ ექნება გადახდილი გამომგზავნელს, რედაქცია გადახდას არ იკისრებს, მაშასადამე ფოსტიდან არ დახსნილი მასალა ტყუილად დაიკარგება.

2) დაუბეჭდავ მასალის გამო არავითარ მიწერ-მოწერას რედაქცია არ კისრულობს ავტორებთან.

3) წერილები უნდა დაიწეროს არა უმეტეს ორი სვეტისა.

4) წერილები საპირადო ხასიათისა არ დაიბეჭდება, პოლემიკური წერილები მიიღება დასაბეჭდათ მხოლოდ მაშინ, როდესაც კამათს პრინციპიალური ხასიათი აქვს.

წიგნის მაღაზია

„ნოვაია რეჩ" (ახალი სიტყვა)

ი. დ. კიკნაძისა.

მაღაზია მუდამ იღებს ახლად გამოსულ წიგნებს. არიგებს საჯარო, საყმაწვილო, სასკოლო, საფაბრიკო ბიბლიოთეკებს და სხვ. სხვა ადგილებიდან დაბარებას ორი დღის განმავლობაში ასრულებს მაღაზია. თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირზოევისა, № 22.

**არტისტულ საზოგადოების თეატრსა და ზალებში**

**ორშაბათს, 21 მარტს.**

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ **გაიმართება** საღამო

შემდეგი პროგრამით

**განყოფილება პირველი.** თეატრში ქართულად ერთ-მოქმედებიანი პიესა:

1) გულმა იგრძნო.

**რუსულად** ერთ-მოქმედებიანი პიესა

2) ИГРА.

**საკონცერტო განყოფილება:** როიალი—ნ. დ. ნიკოლაევი, ვიოლონჩელი—ე. ნ. კაპელინცკი. მელოდეკლამაცია—ნ. ი. ვოლნარსკაია და სიმღერა—ვესელოვზოროვისა და ი. დოლუხანოვი. **განყოფილება მეორე.** დარბაზში: 1) **ძველ ტფილისში**, უზუნდარა—ქ. მირიმანოვისა (ბარ. კლეისტისა). **ლეკური** *** 2) **თანამედროვე პარიზში** (კაბარე). 3) **ციგანური ხორო**, მოყვარულთაგან შემდგარი. შემდეგ 12 საათისა და ვახშმის დროს **დაუკრავს რუმინთა ორკესტრი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დაწვრილებით აფიშებში.

ექიმი

**გ. ფ. ნათიშვილი**

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

დილით 11 ნახ. ს.—1 ს. საღამ. 7—8 ს.

**ადრესი**: მონუმენტის შესახვევი № 5. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ტელეფ. 487.**

რჩეული

პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები

**იაკობ გოგებაშვილისა.** ტომი პირველი. წიგნი დიდი ტანისაა, იპყრობს 560 გვერდს წინასიტყვაობით შეიცავს ას სტატიას საჟურნალოს და საგაზეთოს ღირს **ერთ მანეთად.** ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში და ყველა პროვინციალურს განყოფილებაში „წერაკითხვის საზოგადოებისა."

ექიმი

**რ. ს. დავთიანი.**

შინაგანი და ნერვების ავადმყოფობა.

დილით 12—1 ს.

საღამოთი 5—7 ს.

კოჩუბეევის ქუჩა, № 20

## ტფილისი, 21 მარტი.

როგორც მოსალოდნელი იყო თბილისის საბჭომ უარჰყო წინადადება საარჩევნო უბნების გამრავლების შესახებ.

სხდომაზე ისეთი საბუთები იყო მოყვანილი წინადადების წინააღმდეგ, რომ ნათლად გამოიხატა შეძლებული ნაწილის და მის იდეოლოგების მისწრაფება. თუმცა დასაბუთებას თითქო ლიბერალური ელფერი ჰქონდა მიცემული ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან, მაგრამ ყველა მათ მოსაზრებაში გამოსჭვივოდა ერთადერთი მთავარი აზრი. მათ ეშინოდათ ადგილების და გავლენის დაკარგვისა. რადგანაც თბილისის ბურჟუაზია მარტო ერთ ხალხს, ე. ი. სომხებს, ეკუთვნის, შეიძლება მათ თავიანთ ხალხის ინტერესების საზიანოდაც მიაჩნდათ საარჩევნო უბნების გამრავლება. ეს ადვილი წარმოსადგენია, თუ ვიგულისხმებთ, რომ შეძლებული ნაწილი ყოველი ეროვნებისა, განურჩევლად იმისა ბურჟუებს ეკუთვნის იგი თუ ფეოდალებს ყველგან და ყოველთვის უყურებს თავის თავს, როგორც ხალხის ინტერესების ერთადერთ დამცველს და საზოგადოდ ხალხის მხსნელს.

თბილისის საბჭოს ბურჟუა-ხმოსნებმა წინადადების წინააღმდეგ უმთავრესად ის მოიყვანეს, რომ ინტელიგენტი-ხმოსნების რიცხვი, თუ ახალი წესით მოხდება არჩევნები, ძალიან შემცირდებაო.

ამ აზრის გამოთქმა საკმაო იყო, რომ ხმოსნების უმრავლესობა შიშს აეტანა.

წინადადების დამარცხებას აგრეთვე იმან შეუწყო ხელი, რომ იგი ადმინისტრაციისაგან იყო წარმოდგენილი. ეს უტეხდა სახელს და აკი ერთმაც წარმოსთქვა, რომ „დანაელები" საშიში არიან მაშინაც კი, როცა იმათ მოაქვსთ საჩუქარიო. მეორე ხმოსანმა ხომ პირდაპირ ახსნა გულის წადილი საგუბერნიო ადმინისტრაციისა, მათ სურთ ფარულად ეროვნული კურიები შემოგვაპარონო. ამ უკანასკნელმა აზრმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ხმოსნებზე, რომ ტაშის კვრითაც მიეგებნენ.

მაგრამ განა საბჭოს ასე უნდა შეეხედნა საქმისათვის. რასაკვირველია გუბერნიის მმართველს თავის განზრახვა და აზრი ექნებოდა, მაგრამ ქალაქის უბნებზე დანაწილება ხომ მინდობილი ჰქონდა თვით საბჭოს, მაშასადამე მას შეეძლო ისე მოეგვარებინა საქმე, როგორც მკვიდრთა ინტერესი მოითხოვდა.

საბჭო ასე არ მოიქცა და ჩვენის აზრით სახელიც გაიტეხა ხალხში. მან გამოიჩინა საშინელი უნდობლობა თვით ხალხისადმი. თუ ყველგან ქვეყნიერობაზე დანაწილება პატარა საარჩევნო უბნებად მიღებულია, როგორც პროგრესიული საშუალება და ზომა, ჩვენში რატომ უნდა ყოფილიყო ეს რეაქციონური და ხალხის ინტერესების წინააღმდეგი? ამ საქციელმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი საბჭო მხოლოდ სიტყვიერად არის დემოკრატიული, თორემ თავის ნამდვილი შინაარსით იგი წმინდა ბურჟუაზიულია. საბჭოს ხმოსნები ტყუილად მიმართავენ ხოლმე დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას, რომ მით დაამტკიცონ ვითომდა ხალხისადმი ერთგულება. მათი სიტყვები მხოლოდ ცალიერი სიტყვების რახა რუხია.

როცა საჭიროა გამოჩენა ხალხისადმი ერთგულებისა, მაშინ საბჭო ყოველთვის უკან უკან იხევს და თავის ნამდვილ „ქერქში" ძვრება.

ვინც ხალხის მომავლის გაუმჯობესებით არის გატაცებული, ის მას ნდობით შეჰყურებს და მისი არ ეშინიან.

სამწუხაროდ, თვით საბჭოში არც დემოკრატიულ ოპოზიციონურ ჯგუფში ამ წინადადებას არ აღმოუჩნდა ხეირიანი დამცველი. ვინც ლაპარაკობდა ამ აზრის განხორციელების შესახებ, მას საოცარი გულ-გრილობა და ზანტი აზროვნება ემჩნეოდა.

ამნაირად გაიტეხა სახელი თბილისის საბჭომ ხალხის თვალში. შეეძლო დაემტკიცებინა ხალხის ინტერესებისადმი ერთგულება და ეს არ მოისურვა...

## პოლიტიკური მიმოხილვა.

ამ მოკლე ხანში რუსეთის ცხოვრებაში ისეთი ამბები მოხდა, რომელსაც შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს.

ჯერ ისევ მაშინ, როდესაც გრაფმა ვიტტემ არაჩვეულებრივი გულ-ახდილობა გამოიჩინა და გამოაშკარავა აქამდის დაფარული ამბავი, რომ გლეხების მიერ მიწების იძულებითი გამოსყიდვის კანონ-პროექტი ბ. კუტლერისაგან კი არ იყო წარმოდგენილი, არამედ გამოვიდა თვით **უკონსერვატორულეს** მაღალ წრიდანო, ყველამ სთქვა და, მგონი, გაზეთებმაც აღნიშნეს, რომ გრაფმა ვიტტემ ხელახლა პოლიტიკურ საქმეებში დიდი გავლენა მოიპოვაო. პრესა ძალიან ახმაურდა და კიდევ დაასახელა ის პირი, რომელმაც იძულებით გამოსყიდვაზე მიუთითა არეულობის მოსასპობად—ეს ყოფილიყო განსვენებული გენერალი ტრეპოვი. გრაფ ვიტტეს გამოსვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო საბჭოში მთავარ-მინისტრ სტოლიპინის წინააღმდეგ დიდი ჯგუფი შემდგარიყო. ამ ჯგუფს სათავეში უდგნენ ყოფილი მინისტრი დურნოვო, გენერალი ტრეპოვი და სხვა მათი თანამოაზრენი. ჯგუფს მხარს უმაგრებდა გრაფი ვიტტე. ამათ სურდათ სტოლიპინის დამარცხება. ამისათვის იმათ აარჩიათ ხელ-საყრელი დრო, როდესაც რუსეთის დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების კანონ-პროექტის შესახებ იყო სჯა-ბაასი,

ამ გავლენიან პირთ გადაეწყვიტათ უარეყოთ ნაციონალური კურიები (საარჩევნო ჯგუფები ეროვნების მიხედვით დანაწილებულები). კიდეც მოახერხეს ეს. საბჭოს უარი ათქმევინეს ეროვნული კურიების შემოღებაზე. გრაფი ვიტტე, მაგალითად, დასავლეთ გუბერნიებში მოსახლე მართლ-მადიდებელ გლეხების მოსარჩლედაც კი გამოვიდა. მერე რადგანაც ეროვნული კურიები არ გვინდა, ამიტომ სათათბიროსაგან მიღებული მთლად კანონ-პროექტი კურიების შესახებ საბჭოს უმრავლესობამ უარჰყო.

ამნაირად დამარცხდა სტოლიპინი. კარგად მოწყობილმა პოლიტიკურმა ინტრიგამ თავისი ჰქმნა.

რადგანაც ამას არ მოელოდა ბ. სტოლიპინი, ამიტომ საბჭოს გარდაწყვეტილებამ მას თავზარი დასცა. მან შეიტანა ქაღალდი გადადგომის შესახებ. რამდენიმე დღე გაგრძელდა კრიზისი. დიდი მისვლა-მოსვლა იყო გამართული „ცარსკოე სელოსა" და „პეტერბურგს" შუა. ბოლოს პ. სტოლიპინმა გაიმარჯვა. დარჩა ისევე მთავარ-მინისტრად. მაგრამ ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდა. რადგანაც გადაჭრით მოითხოვა „ფარული მთავრობა" აელაგმათ, რომელიც ცხად მთავრობას ხელს უშლიდა, ამიტომ მან მოახერხა სათათბიროს და საბჭოს დათხოვნა **სამი დღის** ვადით. ამ დროს ძირითადი კანონების მე-87-ე მუხლის ძალით უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა კანონი დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებ კანონი. ამის გარდა სამსახურიდან ერთის წლის ვადით გადააყენეს ცნობილი გავლენიანი მემარჯვენენი პ. დურნოვო და გენერალი ტრეპოვი, რომელნიც პ. სტოლიპინის აზრით ყველაზე მეტად ხელს უშლიდნენ მას.

ყველა ეს საშუალება სათათბიროს ოთხმა პარტიამ—ოქტომბრისტებმა, კადეტებმა, პროგრესისტებმა და სოციალდემოკრატებმა მიიჩნიეს კონსტიტუციის დარღვევად და დაეკითხნენ 15 მარტს სათათბიროში მთავრობას. ამ მოკლე ხანში, უეჭველია, მთავრობა გასცემს პასუხს. დეპუტატები ძალიან აღელვებულნი იყვნენ. სათათბიროს თავმჯდომარე ა. გუჩკოვი პროტესტის ნიშნად გადადგა სამსახურიდან. ოქტომბრისტებს, როდესაც შეიტყვეს, რომ საბჭომ სტოლიპინის კანონ-პროექტი უარჰყოო, სურდათ თვითონ შეეტანათ ხელახლა თავის მხრით სათათბიროში ეს კანონ-პროექტივე, მაგრამ რაკი სტოლიპინმა მიჰმართა მე-87 მუხლს, რომლისთვის მხოლოდ განსაკუთრებულ საგანგებო შემთხვევებში შეეძლო მიემართა, ამიტომ ოქტომბრისტები აპირობენ, თურმე, უარჰყონ ეს პროექტი, როდესაც პ. სტოლიპინი სათათბიროს წარუდგენს მას დასამტკიცებლად. ვნახოთ დღევანდელი სათათბიროს ბატონები გაბედვენ ამას თუ არა. ეს კი ცხადია, რომ მთავარ-მინისტრმა დაარღვია კონსტიტუცია. თვით პურიშკევიჩმაც გამოუცხადა გულის-წყრომა მას სათათბიროში. პ. სტოლიპინი იმითი მართლულობს თავს, რომ რეაქცია დავამარცხეო, მაგრამ უკანონო საქციელი მაინც უკანონოდ რჩება. პროგრესიული პრესა რუსეთისა და მთელი განათლებული ქვეყნისა ჰკიცხავს მას.

უმაღლეს წრეებში დაბადებულ მოწინააღმდეგე ჯგუფების ბრძოლა ამით კი არ დამთავრდა, არამედ უფრო გამწვავდა. პ. სტოლიპინმა გაიჩინა შეურიგებელი მტრები. ვნახოთ, რას უპასუხებს პ. სტოლიპინი სათათბიროს და როგორ ისარგებლებს მთავარ-მინისტრი იმ **სრული** უფლებით, რომლის ხელში ჩაგდებას აქამდის ამაოდ ელოდა...

## ნარკვევი

ახლად დაარსებული ორშაბათის გაზეთი „ბათუმის მოამბე" (იხ. № 2) ეხება თელავის არჩევნებს და თავის შეხედულებას უზიარებს ქართველ მკითხველებს.

ბათუმელების ორგანო არღვევს „სახალხო გაზეთის" აზრს ამ არჩევნების გამო გამოთქმულს და ჰფიქრობს, რომ ამ საქმეში არაფერი გასაზვიადებელი არ არის. გაზეთის აზრით,

„თელავში, თბილისში, სიღნაღში და სხვაგან არის ბრძოლა სომეხ და ქართველ ამომრჩეველთა შორის, ქალაქის თვითმართველობის ხელში ჩასაგდებად და იქ მოსაკალათებლად სხვა და სხვა თბილისა და შემოსავლიან ადგილებზე და არა იმიტომ, რომ ისინი, როგორც მშობელი ერის წარმომადგენელნი ზრუნავდნენ მშრომელი ხალხის და მით ეროვნულ ინტერესების დასაცავად".

ამიტომ გაზეთი ამ ბრძოლას **„არ უწოდებს ეროვნულს და არც უწყობს ხელს მის გაღრმავებას".**

ბოლოს „ბათუმის გაზეთი" დასძენს, რომ

„ჩვენი და მეზობლების სვე-ბედი ისე მჭიდროთაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ, როგორც სხვა საზოგადოებრივ, ისე ქალაქის თვითმართველობების არჩევნებში ჩვენ, ქართველებმა, უნდა წამოვაყენოთ წმინდა რადიკალურ-დემოკრატიული დროშა. მის ქვეშ უნდა შემოვიკრიბოთ ყველა ერთა დემოკრატიული ელემენტები და ასეთი შეერთებული ძალით ავლაგმოთ, როგორც თბილისის თვითმართველობაში გაბატონებული სომხის პლუტოკრატია, ისე სხვა ეროვნებისაც, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. ამას მოითხოვს როგორც ჩვენი ქალაქების, ისე ჩვენი ქვეყნის ინტერესები. ეს მოხერხდება შრომით, ცენზის მოსპობით, თვითმართველობის დემოკრატიზაციით, მათი სვებედით და ინტერესებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობის მიღებით და მათი უფლების გაფართოებით“.

ასე საბუთიანად მსჯელობს ახალი მოძმე. ჩვენ მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ ახლანდელ ყოვლად უპრინციპო დროში, როდესაც ირყევა წინანდელი რწმენა და სახელმძღვანელო აზრები დომხალივით აირია, გამოჩნდა კიდევ ერთი დრო-გამოშვებითი გამოცემა, რომელმაც საგანს პირდაპირ შეხედა და სამართლიანადაც გადასწყვიტა.

ეს ამტკიცებს მხოლოდ, თუ რამდენად შორს მხედველნი არიან გაზეთის ხელმძღვანელნი ეროვნულ იდეის ალსარებაში.

---

ჩვენ შემთხვევით გამოგვეპარა ერთი საგულისხმო ამბავი. თურმე, ტფილისის გაზეთს „ახალ საქმეს“ დიდ ოპტიმისტებად“ მივაჩნივართ. გაზეთი ამბობს, რომ „თითქმის დღიდან თავისი დაარსებისა „თემი“ ტრიალებს სათავად-აზნაურო დაწესებულების ირგვლივ‘‘.

თუ ჩვენ მოგვიხდა სათავად-აზნაურო დაწესებულებაზე ხშირად ლაპარაკი, ეს მხოლოდ შემთხვევით. როცა ჩვენი გაზეთი პირველად გამოვიდა, სწორედ მაშინ გადაწყდა კახეთის რკ. გზის ბედი. ნება-უნებლიედ უნდა მიგვექცია მკითხველის ყურადღება ამ დიდად სასარგებლო საქმისათვის და როდესაც შევეხეთ ამ საგანს და მის გარეშემო ამტყდარ ალიაქოთს, არ შეგვეძლო ორიოდე სიტყვა არ გვეთქვა თვით თავად-აზნაურულ დაწესებულებაზე. მაგრამ აქედან იმის დასკვნის გამოყვანა, თითქო ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდეთ ამ დაწესებულებაზე — ეს დიდი შეცდომა იქნება.

ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ, რომ ჩვენმა თავად-აზნაურულმა დემოკრატიამ არ უნდა უარჰყოს დაბადებით მონიჭებული უფლება და მოახერხოს ხალხის სასარგებლოდ იმ შემოსავლის გამოყენება, რომელიც თავადაზნაურობას აქვს, როგორც **იურიდიულ პიროვნებას**. აქ წოდებაზე არ არის ლაპარაკი. ნუ თუ ხალხისათვის საინტერესო არ არის, როგორ ნაწილდება ის შემოსავალი, რომელიც ხანდახან 300.000 მან. უდრის? ბევრი ერობა შეჰნატრის ამოდენა შემოსავალს. მაშასადამე უყურადღებობა დანაშაულობაა ხალხის წინაშე.

თავად-აზნაურულ კრებებით ბევრნი არიან დაინტერესებულნი, ეს კრებები ხალხით ივსება როცა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაა ხოლმე. თითქმის ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულება ამ ,,ხაზინიდან“ გამოტანილ ფულებით იკვებება. განა ამას მზრუნველობა არ უნდა?..

როცა თავად-აზნაურობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სახეში მისი წოდებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია კი არა გვაქვს, არამედ მხოლოდ მისი **საერობო-სამეურნეო მხარე**. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ წოდებას არაფერი არ გამოაცოცხლებს და თუ მისი გამოცოცხლების სურვილს გვწამებს პატივცემული გაზეთი, — ეს ვერაფერი სამსახურია ჭეშმარიტებისადმი.

თუ ჩვენებური თავად-აზნაურობიდან გამოდიან კიდეც ნამდვილი დემოკრატები და სხვა და სხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში მუშაობენ, რატომ არ შეუძლიან მათ თავად-აზნაურობის დაწესებულებაშიაც იგივე მუშაობა გასწიონ.

ხომ ყოველივე საზოგადოებრივი ორგანიზაცია იმ ელფერს ღებულობს, როგორსაც მას აძლევენ მისი შემადგენელი ელემენტები.

რასაკვირველია, ეს ძნელი საქმეა. შეიძლება მიუწდომელიც იყოს, მაგრამ პრესას არ შეუძლია გულ-გრილად გვერდი აუაროს ამგვარ საზოგადოებრივ ნივთიერად ღონიერ დაწესებულებას და ჭეშმარიტ მიმართულებაზე არ მიუთითოს...

## ქალაქის საბჭოში.

ქალაქის საბჭოში კარგა ხანია არ ვყოფილვარ. დავდიოდი ხშირად მაშინ, როდესაც ამ 20 წლის წინად 22 ქართველი ხმოსანი გავიდა საბჭოში ივანე და მიხეილ მაჩაბლის მეოხებით. მაშინ ამ 22-მა ქართველმა ხმოსანმა დიდი ნიჭი, უნარი და დისციპლინა გამოიჩინეს. მათ აზრიანი საოპოზიციო მოქმედება გააჩაღეს. უნდა ვსთქვათ, რომ ორივე ჯგუფში, როგორც ოპოზიციის, ისე გამგეობისაში, ნიჭიერი წარმომადგენლები იყვნენ. რომ გამახსენდება ნ. ნიკოლაძე, პ. იზმაილოვი, ა. მატინოვი, ნიკ. ზუბალაშვილი, ივანე მაჩაბელი და სხვ., მაშინ ნათლად წარმომიდგება ხოლმე დღევანდელი საბჭოს უბადრუკობა.

ნამდვილი საპარლამენტო ჰიდილი იმართებოდა ხოლმე. ვისაც ბედნიერება ჰქონდა მოესმინა ნიკო ნიკოლაძის და პ. იზმაილოვის სიტყვები და ეყურებინა მათი ბრძოლა-კამათისათვის, ის უეჭველია იტყოდა, რომ ისინი საპარლამენტო მოღვაწეები არიან და თვით საბჭო პატარა პარლამენტად ეჩვენებოდა.

მაგრამ ყველა ეს გაჰქრა. მხოლოდ წარსულია და დღეს შეგვრჩა ჩვენი ინტერესების „დამცველი“ ნიჭიერ ხმოსნებით ღარიბი, ერთ დროს განთქმული, თბილისის საბჭო.

ვიფიქრე წავალ მოსასმენად ორშაბათს. უნდა გაერჩიათ ერთი მეტად საყურადღებო საკითხი — თბილისის საარჩევნო უბნებზე დაყოფა. საგანი საინტერესო მრავალმნიშვნელოვანი იყო და მეგონა, რომ ახლა გაიშლებოდა ჩემ თვალ-წინ ნამდვილი სურათი იდეური ბრძოლისა ბურჟუაზიულ და დემოკრატიულ ხმოსნების შუა.

[მივედი თუ არა, ხმოსნების რიცხვმა გამოცა. ძალიან ცოტა იყო. ზანტად გროვდებოდნენ. დაიწყო სხდომა. წაიკითხეს მოხსენება, რომელსაც ერთგვარი ელფერი ჰქონდა გადაკრული. იგი უარჰყოფდა პროგრესიულ წინადადებას — საარჩევნო უბნების გამრავლებას. დაიწყო კამათი. წამოდგნენ ბურჟუაზიის იდეოლოგები პ. და ი. დოლუხანოვები, გ. ხატისოვი, ლ. ტიგრანოვი, ბ. ხუნუნცი, რომელნიც მედგრად შეებრძოლენ ამ ხალხისათვის სასარგებლო აზრს. ეტყობოდათ, რომ მომზადებულიყვნენ. სამაგიეროდ საარჩევნო უბნების გამრავლების მომხრეთ არ ეტყობოდათ მომზადება. ვერც ა. ბაბოვმა, ვერც კ. ჯაფარიძემ ნათლად ვერ წარმოუდგინეს საბჭოს გამრავლების სარგებლობა და შესაფერად ვერ დაარღვიეს მოწინააღმდეგეების მიერ წამოყენებული ხელოვნურად შეკოწიწებული ,,საბუთები‘‘. კ. ჯაფარიძემ ერთი სიტყვა იხმარა: ,,რა უშავს, რომ საბჭოში **„ჩუმაზი“** დაჯდესო‘‘! ეს სიტყვა თითზე დაიხვიეს ბურჟუაზიის მოტრფიალე ინტელიგენტებმა, მეტადრე გ. ხატისოვმა და უბნების გამრავლების აზრი სასაცილოდ აიგდეს. სიტყვა ,,ჩუმაზი‘‘, რომელიც რუსულად ჭუჭყიანს ნიშნავს და უდრის მნიშვნელობით ქართულ სიტყვას, მაგალითად ,,ტყაპუჭიანს‘‘, ნახმარები აქვს რუსის გამოჩენილ სატირიკოსს შჩედრინს ერთგვარის მნიშვნელობით. აი ამიტომ ისარგებლეს ამ შეუფერებელის სიტყვით გ. ხატისოვმა და სხვ., რომელთაც თავიანთ საპასუხო სიტყვებს ისეთი ხასიათი მისცეს, თითქო კ. ჯაფარიძე თხოულობდა, რომ მომავალი საბჭო მართო „ჩუმაზებით“ აივსოსო.

დემოკრატიულ ჯგუფის წევრმა ივ. ჯაბადარმა თავის მოკლე სიტყვით ხომ სრულებით ჩაკლა წინადადება. მან სთქვა, რომ წინადადება ადმინისტრაციისაგან არისო წარმოდგენილი მხოლოდ იმისათვის, რომ ფარულად შემოგვეპაროს ეროვნული კურიებიო. ამ სიტყვის ხმარება საკმაო იყო, რომ ტაშის კვრა ამტყდარიყო და წინადადებაც დამარხულიყო.

მართლაც საბჭომ დიდის უმრავლესობით უარჰყო საარჩევნო უბნების გამრავლება თბილისში და მით დამტკიცა, რომ მას ხალხის შიში აქვს.

ეს საღამო ძლიერ დამხასიათებელი იყო საბჭოს წრეებში ,მომქმედ‘ გაბატონებულ შეძლებულ ელემენტებისა.

გაგვახსენდა წინანდელი საბჭო, მაშინდელი ოპოზიცია. ის დრო რომ ყოფილიყო, გაიმართებოდა ნამდვილი ბრძოლა და შეიძლება ზემო აღნიშნულს სასარგებლო აზრს წილად გამარჯვებაც ჰრგებოდა...

**დამსწრე.**

---

## ახალ საზოგადოებაში.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა ოთხშაბათს პირველი საზოგადო კრება ქართულ სამეურნეო საზოგადოებისა.

ეს იყო დამფუძნებელი კრება. ხალხიც ბლომად დაესწრო, ყველას სიამოვნების ღიმილი უქროდა სახეზე. შესვლისთანავე ვერ დავფარე და სიხარული გავუზიარე ერთ ნაცნობს. ამან ხუმრობით მიპასუხა: „ხალხის სიმრავლე სწორედ იმის ნიშანია, რომ მომავალი არ ექნება ამ საზოგადოებასო“. ჩემს გაოცებაზე მობაასემ მომახალა: „ჩვენ ქართველებმა ასე ვიცით. ახალ საქმეს დიდის ამბით ხელს მოვკიდებთ, მერე კი მივანებებთ, ამიტომ, პირველად ამოდენა ხალხის დასწრება არ მახარებსო“.

მაგრამ მალე გამოეცვალა ამ სკეპტიკოსს აზრი, როცა სხდომა დაიწყო. ახლად ჩაწერილი წევრები, რომელნიც ასამდე შეიკრიბნენ, ისე გულ-მოდგინედ იღებდნენ მონაწილეობას ბაასში, რომ ცხადი იყო ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ ახალ საზოგადოების წარმატებაში.

კრებამ დაადგინა აირჩიოს საბჭოში 12 წევრი ჯერ-ჯერობით ერთი წლის ვადით. საბჭომ უნდა შეიმუშაოს გეგმა საზოგადოების მოქმედებისა, რომელიც მერე უნდა წარუდგინოს საზოგადო კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად.

სვ. ვახვახიშვილმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა საზოგადოების დანიშნულებაზე. ბოლოს დაასახელეს ბარათებით საბჭოში ასარჩევ წევრების კანდიდატები. თავმჯდომარედ დაასახელეს ბ. გიორგი ყაზბეგი, რომელმაც უარი განაცხადა, აგრეთვე დიმიტრი ჩოლოყაშვილი, სვიმონ ვახვახიშვილი და კონსტ. ამირეჯიბი; თავმჯდომარის ამხანაგად: სვიმონ ვახვახიშვილი, დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ვასილ რცხილაძე, კონსტანტინე ამირეჯიბი; წევრებად: სვიმონ ხუნდაძე, იოსებ ქუთათელაძე, სერგი ყაზახიშვილი, გრიგოლ ქურდიანი, დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ვასილ რცხილაძე, პლატონ ლორთქიფანიძე, დავით ვაჩნაძე, ეგნატე ნახუცრიშვილი, კონსტანტინე ამირეჯიბი, კონსტანტინე კანდელაკი, სოლომონ ჩოლოყაშვილი.

ყველა ამათ, თუ უარს არ იტყვიან, კენჭს უყრიან სამშაბათს 22 მარტს, როდესაც იმავე სადგომში შესდგება კრების გაგრძელება. ვინც უმეტეს ხმას მიიღებს ის იქნება არჩეული საბჭოში.

ბ. დიმიტრი ჩოლოყაშვილის წინადადებით მომავალი კრება აირჩევს საპატიო წევრად დიდად პატივცემულ ილია წინამძღვრიშვილს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ხალხის წინაშე სამეურნეო სკოლის დაარსების და მოწყობის გამო სოფ. წინამძღვრიანთ-კარში.

---

## ჩვეულებრივი ამბავი.

ამას წინად შემთხვევით მოვხვდი დიდუბეში ერთ ქართველ ოჯახში. კარგა ხანს არ ვყოფილიყავი იქ. ჩვეულებრივის გულგაშლილობით მიმიღეს. მხოლოდ, როდესაც ბაასში გავერთეთ, მასპინძელმა დიდის საყვედურით მომმართა: „თქვენ, როგორც გაზეთში თანამშრომელს, გგონიათ ყველაფერს თვალყურს ადევნებთ, ბევრი რამ კი გეპარებათ. აი ახლაც, იცით რა ამბავი ხდება დიდუბეში? რა გვაღელვებს, რა გვაინტერესებს? საყურადღებო ბევრია. აი თუნდა აიღეთ ჩვენი დიდებული ტაძარი — დიდუბის ეკლესია. რას უპირებენ იცით? თქვენ რა გენაღვლებათ ინტელიგენტებს. თქვენ ადვილად შეგიძლიათ იცხოვროთ უეკლესიოდ, ჩვენ კი, ვისაც სარწმუნოება გვწამს უიმისოდ ვერ გავძლებთ‘‘.

დავეკითხე, რა მოხდა-თქო და მან დაწვრილებით შემდეგი მიამბო.

თურმე ეს რამდენიმე წელია, რაც დიდუბეში გამწესებულმა მღვდლებმა ნელნელა მღვდელ-მსახურება სლოვენურად დაიწყეს, რომ მეტი შემოსავალი გაეჩინათ. ხანდისხან, თურმე, მხოლოდ ქართულად სწირავდნენ. ახლა კი მარტო რამდენსამე ასამაღლებელს ამბობენ; დანარჩენი წირვა და საზოგადოდ მღვდელმსახურება სლოვენურად სწარმოებს. მგალობელთა გუნდიც სლოვენურად გალობს. ამნაირად თანდათან პოლიტიკან მღვდლების წყალობით ქართველებს ხელიდან გამოეცალათ ეს დიდებული ტაძარი, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. მოგეხსენებათ გარდმოცემით მეფე თამარს აქ უქორწინია. ამ ჟამად ახლო-მახლო მცხოვრებ ზოგიერთ რუსებს აღუძრავთ შუამდგომლობა, რომ დიდუბის ეკლესიაში სამუდამოდ სლოვენური წირვა-ლოცვა შემოიღონ და ქართული მოსპონ. მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ დიდუბის ეკლესია, რომელსაც თავის მრევლი არ ჰყავდა აქამდინ (ჩუღურეთის ეკლესიაზე იყო მიწერილი), გამოეცხადათ სამრევლო ეკლესიად და გამოეკვლიათ, რომელი ტომის ხალხი ბინადრობს დიდუბეში და სჭარბობს სხვას. სათანადო მოხელეებს ისე წაუყვანიათ გამოკვლევა, რომ რუსები მეტი აღმოჩენილა, ვიდრე ქართველები. იმის მაგიერ, რომ მარტო მკვიდრი ბინადარი მცხოვრებელი მიეღოთ სახეში, იმათ რკინის გზაში რუსის მოსამსახურეები მიუთვლიათ, ასე რომ რუსები ქართველებზე მეტი გამოსულან ამ აღწერით. ამის გამოისობით სასულიერო მთავრობა აპირობს, თურმე, დიდუბის ეკლესიის რუსულ ეკლესიად გამოცხადებას. ქართველები დაფაცურებულან, შეუდგენიათ არზა, რომელზედაც 300 მეტს კაცს ხელი უწერია და მიურთმევიათ სადაც ჯერ არს. აურჩევიათ აგრეთვე ცალკე დეპუტაცია, რომელიც ამ დღეებში წარუდგა თურმე, ეგზარხოსს. საქართველოს ეკლესიის მღვდელ-მთავარს უთქვამს, რომ განსახილველად გადავცემ სინოდალურ კანტორასო. უნდა ვიფიქროთ, რომ კანტორა წესიერად გამოიკვლევს ამ საქმეს, მიიღებს მხედველობაში, რომ ქართველებს ამ რაიონში არც ერთი ეკლესია არა აქვთ, რუსული ეკლესიები ხუთზე მეტია და აღადგენს ქართულ წირვალოცვას ამ ისტორიულს განთქმულს ტაძარში. ეს უსათუოდ ასე უნდა მოხდეს, რადგანაც არ არის საკადრისი სალოცავ ადგილის საშულლო საგნად გადაქცევა. დიდუბის ეკლესიის საქმე ერთნაირად აღელვებს მორწმუნეს და ურწმუნოსაც.

ყველა, რასაკვირველია, იქაურ მღვდლებს ამტყუნებს. ნება-უნებლიედ გვაგონდება განსვენებული დეკანოზი დავით ღამბაშიძე, რომელიც მედგრად წინა აღუდგა ყვირილის ეკლესიის ამგვარ ,,გარდაქმნას‘‘.

მაგრამ, განა იმისთანა მებრძოლი მღვდლები ბევრია ჩვენში?..

საჭიროა ამ საკითხს ყურადღება მიაქციოს თავად-აზნაურობამ და მეტადრე ჩვენმა პრესამ *).

**ბ. ხ—ძე**

*) ვუთმობთ ამ წერილს ადგილს ჩვენს გაზეთში. მართლაც უსამართლო ამბავია. ყველამ ხმა უნდა ამოიღოს. ჩვენ თვითონ დავუბრუნდებით ამ საკითხს, როცა დაწვრილებით გამოვარკვევთ საქმის გარემოებას.

რედ.

---

# პატარა ფელეტონი

**ნამცვრევი.**

დრო მოდიოდეს; რომ მოვა, გაფრინდება.

*

გულის-თქმას ყურს ნუ უგდებ, მიჰყევ ჭკუის ცნებასაო. — მერე ვინ ამბობს მაგას? — თითონ ჭკუა, — დიდებდა, ვინ იტყვის: მე ნუ მიჯერებ, სხვას აჰყევი?

*

ყველა აქებს კარგი ნივთის, ფარჩის ან ჭურჭლის გამკეთებელს; მაგრამ ბევრს როდი უთქვამს: დაილოცოს გლეხის მარჯვენა, გამრიგელი პურის მომყვანიო.

*

ემწვილდა, მე ის კი არა მწყინს, რომ ჩემს სიბერეს დასცინი, — გულს ის მაკლავს, რომ შენს სიბერეს ვერ მოვესწრები, როცა ემწვილები ყბად აგიღებენ.

*

უწინ გლეხს ცხენზედ არ შესვამდნენ, ღმერთი არ დაავიწყდესო; ახლა კი უუბნებიან: ,,შენ ხარ მარილი ქვეყნისაო“! — მოდი და ნუ გაგიჟდები.

*

სადა სამართალს ხმა ვერ ამოუღია, იქ მოწყალეობა ტიტინებს.

*

კანონი მძლავრობის გამართლებაა.

*

ანდაზა ზანტი ჭკუის სიბრძნეა.

*

ის სთქვი, რაც შენ მოგწონდეს, მაგრამ ისე სთქვი როგორც მე მომწონს.

**რიშ ბაბა.**

## გასაკიცხი საქციელი.

ბურჟუაზიას, როგორც განსაკუთრებულ კლასს, აქვს თავისი ინტერესები, საკუთარი ნაციონალისტური პოლიტიკა, მისი ინტერესები წინააღმდეგნი არიან სხვა კლასთა ინტერესებისა. ყველაფერს, რაც კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებობს ზემოხსენებული კლასსი თავის კლასიკურ ინტერესების სასარგებლოთ იყენებს ხოლმე. ასე ჩნდება მისი ეგოისტური პოლიტიკა ამის გამო იგი გარშემო იკრებავს თავის ტომის სხვა და სხვა ელემენტებს, რომელზედაც შეუძლია დაამყაროს თავისი ბატონობა.

აი სწორედ აქედან სხვათა შორის წარმოსდგება ხოლმე ნაციონალური ბრძოლა, მეზობელ ერთა შორის ანტაგონიზმი, ერთა ინტერესების შეტაკება, რასაც ძალიან მავნებელი გავლენა აქვს ხოლმე მშრომელ ხალხზე, რომელსაც ამ გვარ პოლიტიკის შექმნაში არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვის.

ამგვარ გასაკიცხ და მავნე მოვლენას ვხედავთ დღეს როგორც მთელს ქვეყნიერობაზე, ისე ჩვენშიაც, კავკასიაში. საქართველოში და აგრეთვე მთელს კავკასიაში, სომხის ბურჟუაზია უბრალო **ჩარჩის** როლიდან გადავიდა მომქმედ ბურჟუაზიულ კლასის როლზე.

ამისათვის მას უნდა შეექმნა თავისი ნაციონალისტურ-შოვინისტური პოლიტიკა, რომელიც აგდებს საფრთხეში სომხის მშრომელ ხალხს, ვინაიდან ამ გვარი პოლიტიკა საშუალებას არ აძლევს მას მტკიცე სოლიდალური კავშირი შეჰქმნას მეზობელ ერთა თავის მოძმე მშრომელ ელემენტებთან. მშრომელთა შორის არსებობენ მრავალი პირნი, რომელთაც უკეთესათ ესმით ამ გვარ პოლიტიკის მავნებლობა. ამის წინააღმდეგ ისინი პრესის და საზოგადოდ ლიტერატურის საშუალებით ებრძვიან ამ გვარ მიმართულებას.

ამისთანა მდგომარეობით სარგებლობენ ხოლმე უკიდურესი ნაციონალისტები რომელნიც რამე მოვლენას თითზე დაიხვევენ ხოლმე და ერთი კლასის საქციელს გადაიტანენ ხოლმე მთელს ერზე, ვითომდა თავიანთ ერის ინტერესების დასაცავათ.

ავიღოთ მაგალითად ამას წინად მომხდარი თელავის არჩევნები, სადაც სომხის ახლად აღორძინებულმა წვრილმა ბურჟუაზიამ გააშავა ქართველთა კანდიტატები, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური გამოიწვია. ქართველმა უკიდურესმა ნაციონალისტებმა თელაველ 200 სომეხ ვაჭრების საქციელის გამო გაჰკიცხეს სომხის მთელი ხალხი, რომელიც **სრულიად პასუხის მგებელი არ არის იმაში, თუ რას ჰშვრება ერთი ჯგუფი სომხის ვაჭრებისა**. სად სომხის მრავალი გლეხკაცობა — მუშები და სად ერთი მუჭა ვაჭრები?!..

ამ პუბლიცისტებმა სრულიად ხმა არ ამოიღეს საარჩევნო მაღალ ცენზე, რაც სრულებით დაარღვევდა მათ მოსაზრებას. ეს მაღალი ცენზი სომხის ბურჟუაზიას ხელს ძალიან უწყობს. ამ საშუალებით მას, თვისი კანდიდატები გაჰყავს.

მაგრამ ბრალი ვისია, რომ ქართველი ბურჟუაზია უმცირესობას წარმოადგენს? განა ამაშიაც სომხის მშრომელი ხალხია დამნაშავე?

ძლიერ გასაკიცხია ბურჟუაზიის ამ გვარი უსამართლო ქცევა, მაგრამ რას იზამთ, როდესაც გარეშე პირობები გაბატონებულთათვის ხელშემწყობია ამ ჟამად. ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ თელაველ ვაჭრებს სრულიად არ ესმისთ რანაირ საბუთს აძლევენ თავიანთ ნაციონალისტურ მოქმედებით მათ მსგავსს ქართველ ნაციონალისტებს აურ-ზაური ასტეხონ მთელის სომხის ხალხის წინააღმდეგ. საზიზღარი შოვინიზმი, საიდგანაც უნდა იგი წარმოსდგებოდეს, ჩვენთვის შეუწყნარებელია და გასაკიცხი. ამიტომ ჩვენ ვკიცხავთ თელაველ სომეხ ამომრჩეველთა საქციელს.

ჩვენ, როგორც ტომით სომეხი და პროფესიით ჟურნალისტი, აგრეთვე როგორც სომხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიმღები უპირველესად ყოვლისა დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ქართველსომეხთა ურთიერთობის გაუმჯობესებას და როგორც თავისუფალ მოაზრეთა მიმართულების წარმომადგენელი მოვითხოვთ ამ არჩევნების გაუქმებას და ახალ არჩევნების დანიშვნას, რომ თელაველ სომეხთა და ქართველთა დემოკრატიული ელემენტებმა შეერთებულის ძალით დაასახელონ ორ ერის ღირსეული კანდიდატები და ხმოსნებად გაიყვანონ. ამიტომ იმათ უნდა მიჰმართონ სადაც ჯერ არს და გააუქმებინონ პირველი არჩევნები. ამას მოითხოვს მოძმე ხალხთა უმაღლესი ინტერესები.

Sapienti sat!...

**Artemius.**

## დასაწუნი გარდაწყვეტილება.

კვირას 13 მარტს მოწვეულმა თბილისის თავად-აზნაურობის საგანგებო კრებამ ორი გარდაწყვეტილება დაადგინა. ერთი როგორც ჩვენმა მკითხველმა უწყიან, შეეხება ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, რომელსაც გადაეცა 2.000 მან. წარსულ სეზონის ზარალის დასაფარავად. ეს გარდაწყვეტილება მეტად საგულისხმოა. ხოლო მეორე გარდაწყვეტილება სრულებით არ არის ამ ფერისა. თავადაზნაურობამ 1.000 მან. გადასდო ,,პრიკაზში‘‘ დაგირავებულ მამულების დახსნის საქმისათვის, რაღაც მასალა ყოფილა მოსაკრები.

ჩვენ ეს განაჩენი სასარგებლო გადაწყვეტილებად არ მიგვაჩნია. როგორც მოეხსენება მკითხველს, ეს მთელი თავად-აზნაურობის საქმე არ არის, რადგანაც ამაში მხოლოდ რამდენიმე კერძო თავად-აზნაური არის დაინტერესებული, როგორც ,,პრიკაზის‘‘ მსესხებელი. მაშასადამე ამ საქმეზე ამ კერძო პირებს უნდა ეზრუნათ. აქ თავად-აზნაურობის ხაზინა რა შუაში იყო?

მართალია ეს ფული არც იმისთანა თანხაა, რომ ,,ვაი უშველებელის‘‘ ატეხად ღირდეს, მაგრამ მაინც ეს არ უნდა ექნა კრებას.

ისევ ქართულ თეატრისათვის რომ მიეცათ ეს ასი თუმანი, უფრო უმჯობესი იქნებოდა.

**დ. ვ.**

---

## ჩვენი თეატრის გარეშემო *).

ეს რამოდენიმე ხანია, თვალ-ყურს ვადევნებ ჩვენი თეატრის საქმის მსვლელობას და ჯერ კიდევ კარგად ვერ გამომირკვევია, რა აფერხებს ამ დიადი საქმის წარმატებას.

მიზეზი, რა თქმა უნდა, მრავალგვარია. დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრს ან მსახიობს რომ ჰკითხოთ, მიზეზად მაშინვე დაასახელებს უფულობას. ამას დააბრალებს ყველაფერს. ეს ერთის მხრით მართალია. ჩვენი თეატრი დღეს ისეთ პირობებშია, რომ მისთვის აუცილებელი საჭიროებაა ნივთიერი სახსარი. ქართულმა თეატრმა უნდა მეტოქეობა გაუწიოს სხვა თეატრებს, მაშასადამე საჭიროა, რომ პიესა კარგად დაიდგას. პიესის დაგვარად შესაფერი დეკორაციების ტანისამოსის, ბუტაფორიის, რეკვიზიტის და ათასი სხვა რამეს შეძენა არის აუცილებელი. ყველა ამას კი ფული უნდა. მერე ვინ მისცა ჩვენ ღარიბ სცენის იმოდენა შეძლება, რომ ყველა ეს კარგად მოაწყოს?

მე დარწმუნებული ვარ, რომ შემოსავალი ვერას გზით ვერ დაჰფარავს ხარჯს, თუ სხვა დახმარება რამ არ აღმოუჩინეს! ჩვენი თავადაზნაურობა ძლიერ ხელს უწყობს მის აყვავებას. წელს თეატრი შეღავათიან პირობებში ჰქონდა დათმობილი დრამატიულ საზოგადოებას. ამას გარდა 4000 მანეთით დახმარებაც აღმოუჩინა. მიუხედავად ამისა თეატრს მაინც ზარალი საკმაო მოუვიდა, თუ ამასაც გავითვალისწინებთ, რომ შედარებით სხვა წლებთან წელს შემოსავალიც მეტი ჰქონია! წელს კარგი დასი იყო, პიესებიც კარგად იდგმებოდა, რამდენიმე პიესა ახალი დეკორაციებით დადგეს, რა თქმა უნდა ყველა ეს მეტ ხარჯს გამოიწვევდა.

ჩვენი საზოგადოებაც ამ ბოლო დროს ძლიერ სწყალობს თეატრს, ადრინდელზე უფრო უკეთესად ეკიდება. საჭიროა ჩვენმა არტისტებმა უფრო მეტი მუყაითობა და სიყვარული გამოიჩინონ სავყარელ საქმისადმი, შეერთდნენ ამხანაგობა დააარსონ. კარგი იქნება, რომ ერთ რომელსამე ამხანაგს მიანდონ საქმის სათავეში დადგომა, თორემ შეუძლებელია თეატრის აღორძინება. თეატრი საქველმოქმედო დაწესებულება კი არ არის, არამედ ხელოვნების ტაძარია. ვინც და რაც უვარგისია და საქმისათვის მავნებელი თვით ამხანაგებმა უნდა ჩამოაშორონ თეატრს. უნდა შეებრძოლონ ყოველგვარ დამაბრკოლებელ მიზეზებს თუ სურთ რომ აყვავდეს ეს სახალხო საქმე.

თეატრის საქმეს ერთი კაცი უნდა აწარმოებდეს. თეატრის საქმეში თუ ოცი ხელი ტრიალებს, იქ საქმის რიგიანი წაყვანა შეუძლებელია.

საჭიროა ამ დახავსებულ ტრადიციას ბოლო მოეღოს.

საჭიროა მხოლოდ ერთ შესმენილ და გამოცდილ კაცს გადასცეს საქმის წარმოება. მაშინ თეატრის საქმეს, ღრმად დარწმუნებული ვარ, წარმატება და წინსვლა დაეტყობა.

მაგრამ ყველაზე უფრო სასცენო კითხვების განსახილველად და გამოსარკვევად საჭიროა ქართველ სცენის მოღვაწეთა საერთო კრების მოწვევა. ჩვენში უკვე მომწიფდა ბევრნაირი სცენის მოსახები საკითხები. საჭიროა ამ კრებამ შეიმუშაოს ერთი წესდება რომ მით იხელმძღვანელონ იმ პირებმა რომელნიც ამ საქმეს ემსახურებიან. აი ახლა, მაგალითად, ყოველი ვიგინდარა წარმოდგენს მართავს და წარმოიდგინეთ ამისი ნებაც აქვს, რადგანაც მას რომელიმე დრამატიულ საზოგადოებისაგან აღებული აქვს მოწმობა. საკმარისია ერთი თვე ითამაშოთ, გამგეობა მაშინვე მოგცემსთ მოწმობას და მოგნათლავსთ მსახიობათ. ამას-წინად დ. ყვირილაში ორ ვაჟბატონს მსახიობებათ გამოუცხადებიათ თავიანთი თავი, რადგანაც შესაფერი მოწმობებიც ჰქონიათ, ნებართვა უფლისა მიეღოთ უფროსისაგან, ბილეთები გაუყიდნიათ, აუღიათ ფულები და გაპარულან. აი ამისთანა შემთხვევებიც ძლიერ აფერხებს თეატრის საქმეს. საჭიროა დიდის სიფრთხილით მიეცეს ხოლმე მსახიობის მოწმობები. თორემ ყვირილისთანა შემთხვევები დიდ ზარალს მოუტანენ დიად სასცენო საქმეს. აი ამიტომ არის საჭირო მოწვეულ იქმნას, რაც შეიძლება მალე, სცენის მოღვაწეთა კრება, რომელიც ყველა საკითხებს გაარკვევს და ზომებს შეიმუშავებს თეატრის ასაყვავებლად და საზოგადოდ საქმის რიგიანად მოსაწყობად.

**სცენის მოტრფიალე.**

*) თეატრის საკითხი ჩვენში მეტად საჭირბოროტო საგნად მიგვაჩნია, ამიტომ ჩვენ დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ თეატრის საქმის გაუმჯობესების შესახებ წერილებს. რედაქცია ამ მოკლე ხანში თვითონაც გამოსთქვამს თავის შეხედულებას ამ საგანზე.

**რედ.**

## რუსული გაზეთის რისხვა.

„ზაკავკ. რეჩი“, რომელიც აქამდის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა „თემს“, პარასკევის ნომერში გაგვირისხდა.

მერე არ იკითხავთ მიზეზს მისი გამოლაშქრებისას?..

რად შეაშფოთა ,,ჯილითა და ჯინჯილით‘‘ ახლად მოვლენილი ,,პეტრონიუსი‘‘, — რად უგზავნის წყევა-კრულვას ,,თემის‘‘ რედაქციას? თურმე მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გავბედეთ და სტუმართმოყვარეობა გაუწიეთ ბ. Artemius-ს, იგი მარქსისტია, კლასთა ბრძოლის აღმსარებელია, გალაღებული კილოთი სწერსო და სხვა. ავტორს თვით წერილის შინაარსი იმდენად არ აინტერესებს რამდენად ის, თუ რად დასტამბა ეს წერილი ,,თემმა‘‘.

მოვახსენებთ ბ. ,,პეტრონიუსს‘‘: ბ. Artemius-ის წერილი დაწერილია მეტად მშვიდობიანი დაზრდილობიანის კილოთი და ეხება საჭირბოროტო საგანს — ქართველსომეხთა ურთიერთობას. ამ ურთიერთობის გაუმჯობესება ყოველმა შეგნებულმა ქართველმა და სომეხმა უნდა დაისახოს მიზნად.

ჩვენც სიხარულით დავსტამბეთ ის წერილი, რომელსაც ასე გულზე მოუყვანია ძველი პატრიციუსის სახელის მატარებელი, რადგანაც ამ საპატიო მიზნისადმი სამსახური ჩვენ დიდად საჭირო საქმედ მიგვაჩნია.

ჩვენ მხოლოდ არ დავეთანხმეთ ავტორის არგუმენტაციას, რომელიც მარქსისტული ხასიათისაა, რაიც აღვნიშნეთ კიდეც ჩვენს შენიშვნაში.

ჩვენ იმდენად საჭიროდ მიგვაჩნია ამ საგანზე ხშირი ბაასი და ლაპარაკი, რომ

შემდეგშიაც დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ ამგვარ წერილებს, რა გინდ მიმართულების ავტორებს ეკუთვნოდნენ ისინი, ოღონდ კი ემსახურებოდნენ ამ ორ ხალხის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

დავბეჭდავთ, ვამბობთ, თუნდ რომ უარესი რისხვა მოგველოდეს იმათგან, ვისაც მარტო ხსენება სომხის სახელისა ცუდ გუნებაზე აყენებს.

# ახალი ამბები

✦ ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი ს. ქვემო-ხვითის (ქართლის) მასწავლებელ ქალის ქ-ზ. ნატალია უნაფქოშვილისაგან: ბ. რედაქტორო! ჩემდა რწმუნებულ სკოლის მოწაფეებს წაუკითხე „განათლებაში“ და თქვენს გაზეთში მოთავსებული წერილები დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა გაჭირვებაზედ და იმდენათ განიმსჭვალენ მათის სიბრალულით ჩემი პატარა მოწაფეები, რომ ერთმანეთში მოაგროვეს თითო გროშობით ერთი მანეთი და მომირბენიეს დიდი ბოდიშით და მთხოვეს როგორმე მიმეწოდებინა ეს მცირე შესაწირავი მათ გაჭირვებულს მოძმეთათვის. ამ შეწირულებას მიემატა ჩემის მხრივ ერთი მანეთი და ერთიც ნინო გიორგის ასულის მაჭავარიანისაგან. სულ შესდგა სამი მანეთი. გთხოვთ ეს ჩვენი მცირედი წვლილი გადასცეთ სადაც ჯერ არს დასავლეთ საქართველოს დაზარალებულთა სასარგებლოთ.

ეს ფული გადაცემული იქნება დანიშნულებისამებრ. იმედია ჩვენი საზოგადოება წაჰბაძავს ამ მაგალითს გულ-გრილობას არ გამოიჩენს და შესამჩნევ დახმარებას აღმოუჩენს დაზარალებულთა.

მა საქმის გასაძლოლად თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოსთან დაარსებული მანდილოსანთა კომიტეტი გულ-მოდგინედ შესდგომია თავის მოვალეობის აღსრულებას. როგორც შევიტყეთ მეფის მოადგილეს მეუღლეს სურვილი გამოუცხადებია ეს საქმე თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს.

✦ **ქუთაისიდან** გვწერენ, რომ კერძო გიმნაზიაში ის მოსწავლე ახალგაზდები, რომელნიც ქართულ გაკვეთილებზე არ დადიოდნენ, ახლა თუ რამე გულ-მოდგინეთ **შესდგომიან ქართულის შესწავლას** სასწავლებლის გამგეს შესაფერი მამობრივი დარიგება მიუცია შეგირდებისათვის. ახლა ეს უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ტყუილად შესდგომიან დაინტერესებული პირები ჩვენი კორესპონდენტის ვინაობის გამოაშკარავებას. ამას ვეროდეს ვერ მოახერხებენ, თუ თვითონ იმ პირმა არ მოისურვა თავის თავის დასახელება.

✦ ორშაბათს, 21 მარტს, ქართველთა შორის **წერა-კითხვის** გამავრცელებელ **საზოგადოების** სასარგებლოდ გაიმართება **საღამო.** არტისტულ საზოგადოების **თეატრში** წარმოდგენილი იქნება ქართულად ვოდევილი ,,გულმა იგრძნო‘‘, რუსულად ,,თამაში‘‘; წარმოდგენის შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პიანისტი ნ. დ. ნიკოლაევი, ვიოლონჩელისტი კაპელნიცკი, ქ-ზ. ვოლნარსკაია მელოდეკლამაციით წაიკითხავს, იმღერებენ ქ-ზ. ნ. ა. ვესელივზოროვისა (ბახუტაშვილის ქალი) და ნაფ. ვექ. ი. მ. დოლუხანოვი. საკონცერტო განყოფილების შემდეგ არტისტულ საზოგადოების დარბაზში გაიმართება მეჯლისი. დარბაზის ერთ ნაწილში მოწყობილი იქნება ,,ძველი ტფილისი‘‘. აქ იცეკვებს ლეკურს და უზუნდარას—ქ-ზ. მირიმანოვისა (ბარონესსა კლეისტისა) და სხვ. მეორე ნაწილი გამართული იქნება ,,თანამედროვე პარიზი‘‘—კაბარე (სახუმარო გასართობები). იმღერებს ციგანური გუნდი, მოყვარულთაგან შემდგარი. ვახშმის დროს დაუკრავს რუმინელთა ორკესტრი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტფილისის საზოგადოება განურჩევლად ეროვნებისა ბლომად დაესწრება ამ სიმპატიური მიზნით გამართულ საღამოს, რომელსაც ჰმართავს ქართველ მანდილოსანთა კომიტეტი, წ.-კ. საზოგადოებასთან მომუშავე. დიდი შრომა გასწია ამ კომიტეტმა საღამოს რიგიანად მოსაწყობად და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ ეს შრომა უქმად არ ჩაივლის.

✦ კვირას 27 მარტს არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება **ქართული სასულიერო კონცერტი.** იგალობებს სემინარიის გუნდი ბ. ილია კარგარეთლის ლოტბარობით. ეს, რამდენადაც ვიცით, მგონი პირველი სასულიერო კონცერტი უნდა იყოს. იმედია ქართული სასულიერო გალობის მოყვარულნი ბლომად დაესწრებიან ამ საინტერესო კონცერტს. მოისმენენ ბბ. კლენოვსკის, იპოლიტოვ-ივანოვის, ფალიაშვილის, მონადირიშვილის, კარგარეთლის და კარბელიშვილის საეკლესიო საგალობლებს.

✦ მარტის ბოლო რიცხვებში მოხდება **ქართულ ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოების** წლიური საზოგადო კრება. ამ საზოგადოებამ ამ დღეებში მიიღო თავ. დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილისაგან შემოწირული 200 მან.

✦ ქართველ საზოგადოებაში ცნობილმა **ალექსანდრე სავანელმა** თავის სურვილით დაანება თავი საპატიო **მომრიგებელ მოსამართლის** თანამდებობას.

✦ გზათა სამინისტრო ინჟინერ **რახმანინს** გზავნის, რომ თვალყური ადევნოს **კახეთის რკინის გზის** გამოკვლევას. ბ. რახმანინი კახეთში იქნება მარტის ბოლო. რიცხვებში. აპრილის ბოლოს ტეხნიკურ გამოკვლევას დაასრულებს ის კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ინჟინერი დვორნიჩენკო.

✦ ტფილისში დაარსდა **ახალი ამხანაგობა** ბაღის პატრონთა, რომელსაც მიზნად აქვს ბრძოლა გაუწიოს ჩარჩ-ბაყლებს, რომელნიც **ხილეულობა-ბოსტნეულობას** იაფად ყიდულობენ ბაღის პატრონთაგან და ქალაქში კი მამასისხლად ასაღებენ. კარგი იქნება, რომ ქართლ-კახეთის ბაღის პატრონთ მიაქციონ ამ ახალ საზოგადოებას თავის ყურადღება. მივაქცევთ აგრეთვე ამ საგანზედ ყურადღებას ახლად დაარსებულ ქართულ სამეურნეო საზოგადოებისას.

✦ 27 მარტს ქართველი მწერალი [illegible]

✦ მოვაგონებთ ჩვენს საზოგადოებას, რომ სამშაბათს 22 მარტს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში მოხდება ქართულ სამეურნეო საზოგადოების კრება, რომელმაც საბჭოს 12 წევრი უნდა აირჩიოს. კანდიდატების სახელები უკვე გამოცხადებულია დღევანდელ ნომერში. სასურველია პრეზიდიუმი შესდგეს იმისთანა პირებისაგან, რომელნიც დაახლოვებულნი არიან მეურნეობის საქმეებთან და სხვა და სხვა საზოგადოებაში წევრად არ ითვლებიან, თორემ რანაირად შეუძლიანთ გასწვდნენ ყველა დაკისრებულ საქმეებს. უპირველესად ყოვლისა კრებამ უნდა აირჩიოს თავმჯდომარედ ბ. სვიმონ ვახვახიშვილი, რომელიც სულის ჩამდგმელია ამ სარგებლო დაწესებულებისა.

✦ პატივცემული ბ. პეტრე მირიანაშვილი აპირებს გამოსცეს თავის საყურადღებო გამოკვლევა-ლინგვისტური ლექსიკონი 1000 მეტ ქართული სიტყვებისა. ამ ლექსიკონში უმთავრესად ის არიული სიტყვები იქნება მოთავსებული, რომელიც [illegible]



ახლად არჩეული ქუთაისის ქალაქის თავი

ილია ჩიქოვანი.

ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანი ქართველ საზოგადოებაში ცნობილია როგორც მწერალი. მას აქვს დაწერილი ლამაზი ლექსები და პიესები. მას აქვს დასტამბული ქართულ ჟურნალ-გაზეთებში პუბლიცისტური წერილები. მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა ქართულ საზოგადო საქმეში. ცაიშადა სამეგრელოში, უმაღლესი სწავლა დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტში. ქალაქის თავად არჩევამდე იგი იყო ხარჯის ამკრები ინსპექტორი, რომლის თანამდებობას თხუთმეტის წლის განმავლობაში ასრულებდა. იგი ღონით სავსე კაცია, 42 წლისაა. როგორც მტკიცე ხასიათის მქონებელს და მშრომელს მას შეუძლია პირნათლად შეასრულოს ნაკისრი მძიმე მოვალეობა.

1901 წ. № 7, 1904 წ.—1—2, 1903წ. და 1905 წ. მთელი წლისა. ამით ქართველი ხალხის პატივცემულ მეგობარს სურს შეავსოს ნაკლი, რომელიც აღმოუჩენია მისგან დაარსებულ ბიბლიოთეკაში.

✦ ჩვენ მივიღეთ ცხარე კილოთი დაწერილი პასუხი ბ. Artemius-ისა, რომელიც მას ,,პეტრონიუსის‘‘ და ,,ზაკავ. რეჩის‘‘ წინააღმდეგ დაუწერია (იხ. დღევანდელი ჩვენი წერილი ,,რუსული გაზეთის რისხვა‘‘). არ ვბეჭდავთ მას, რადგანაც არა გვსურს გავამწვავოთ საკითხი. დავამშვიდებთ ახალგაზდა ჟურნალისტს, რომელიც ჩვენი საყვარელ მგოსნის აკაკის გულწრფელ პატივისმცემლად მიგვაჩნია. ყურადღების ღირსი არ არის ეს გამოლაშქრება, რადგანაც ბ. ,,პეტრონიუსს‘‘ წერილის შინაარსის დარღვევა სრულებით ვერ მოუხერხებია. ცალიერი კინკლაობა კი არავისთვის არ არის საკადრისი.

✦ მინისტრთა საბჭოს მიუღია მეფის მოადგილეს-მიერ შედგენილი კანონ-პროექტი ,,ნადელების‘‘ გამოსყიდვის შესახებ. გლეხებს უფლება არ ექნებათ გამოსყიდული ,,ნადელები‘‘ მიჰყიდონ იმათ, ვინც გლეხების წოდებას არ ეკუთვნის. ამ კანონ-პროექტს სათათბირო განიხილავს აპრილში.

✦ ომის შესახებ ხმები არ გამართლდა. ჩინეთს დაუკმაყოფილებია რუსეთის მთავრობის ზოგიერთი მოთხოვნა როგორც, მაგ., საკონსულოების დაარსების შესახებ.

✦ **თბილისში ამბავი მოვიდა, რომ გარდაიცვალა რუსის გამოჩენილი მწერალი მელშინი იაკუბოვიჩი.**

✦ გაფიცვაში მონაწილეობის მიღების გამო სხვა სტუდენტებთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი კარლო დონდუა იგზავნება ვოლოგდის გუბერნიაში სამი წლის ვადით.

✦ პეტერბურგში გამოსცეს წიგნი ლიუდვიგ ბერნგარდისა სათაურით: ,,პოლონელთა ბრძოლა თავის თავის დაცვისათვის პრუსიაში‘‘. წიგნს ჩართული აქვს პეტრე სტრუვეს წინასიტყვაობა. თარგმანი ეკუთვნის ცნობილ მწერალს ა. ს. იზგოევს. კარგი იქნება ვინმე იკისრებდეს ამ საინტერესო წიგნის ქართულად გადმოღებას.

✦ მოსკოვში სასამართლო პალატაში უნდა გარჩეულიყო საქმე ,,ს-რების გამომცემელთა კავშირის.‘‘ ეს კავშირი შესდგებოდა შემდეგ წიგნის გამომცემელთა ფირმებისაგან: ,,ახალგაზდა რუსეთი,‘‘ ,,ახალი ამხანაგობა,‘‘ ,,სახალხო აზრი‘‘ და სხვა. სულ 12 კაცია ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემული. უმეტესობა სტუდენტებია; მათ შორის შალვა იასონის ძე ნათაძე. რადგანაც ზოგიერთი ბრალდებულნი, როგორც მაგალითად შ. ნათაძე არ გამოცხადდენ, ამიტომ საქმე გადასდეს სხვა დროისთვის.

✦ 25 მარტიდან ქ. ქუთაისში გამოვა დიდი ქართული ყოველდღიური გაზეთი, რომელსაც სახელათ ერქმევა ,,შრომა.‘‘ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ცნობილი ქართველი ლიტერატორები.

✦ **ოქტობრისტების სათათბიროს ფრაქციამ თავმჯდომარედ ერთხმად ალექსანდრე გუჩკოვი აირჩია. ყოფილ თავმჯდომარეს როძიანკოს ასახელებენ სათათბიროს თავმჯდომარის ადგილზე. სახელმწიფო საბჭოშიაც ცენტრი, მემარჯვენეები, მემარცხენეები და ზოგიერთი უპარტიო წევრები აპირებენ შეკითხვით მიჰმართონ მთავრობას უკანონო მოქმედების გამო. მიმართვის ტექსტი გამოჩენილ კრიმინალისტს ტაგანცევს შეუდგენია.**

# საყურადღებო საქმე.

ჩვენი ქვეყანა საჭიროებს შესწავლას. პირველად საჭიროა მისი ერთი ერთმანეთისაგან მრავალმხრივ განსხვავებული კუთხე ნაწილ-ნაწილ შევისწავლოთ და მაშინ მხოლოდ ერთ ერთეულზე ნათელი წარმოდგენა გვექნება. ერთი კუთხის აღწერა, მისი ყოველმხრივ შესწავლა, მეორე კუთხისათვის, უეჭველია, მაგალითად დარჩება. ამიტომ განვიზრახე მე ქვემოდ მოყვანილ სახელმძღვანელო გეგმის თანახმად ავწერო გურიის ერთი შუაგული სოფელი. ამ სოფლის აღწერა მით უმეტეს შეიძლება, რომ ჩემი მშობელი სოფელია. ვიცნობ და მიცნობენ იქ ჩემი მეზობლები. ამისათვის დარწმუნებული ვარ შეცდომა ნაკლები მომივა. ამით მე მინდა მაგალითი მივცე შევნებულ სოფლის მკვიდრს, რომ მანაც აღწეროს თავისი სოფელი და ამ რიგად რამოდენიმე ხნის განმავლობაში თავს მოიყრის სერიოზული შრომა, რომელსაც ვინმე სპეციალისტი თავთავის ადგილას დაალაგებს და შესაფერ სასარგებლო დასკვნას გამოიყვანს.

**აი განზრახულის შრომის გეგმაც:**

1) სოფელი №...გეოგრაფიულ-ადმინისტრატიულ ისტორიული მიმოხილვა.

2) მცხოვრებთა რაოდენობა მდედრი და მამრი (უდიდესი წლოვანება მდედრის და მამრის).

3) მიცვალებულთა და დაბადებულთა ცხრილი (ათის წლის შედარებით).

4) დაქორწინებულთა და გათხოვილთა ცხრილი. (სიძეები-რძლები-წოდება, ტომი-სარწმუნოება.)

5) მცხოვრებთა დანაწილება წოდების მიხედვით (აზ. თავ. სასულ. გლეხი საბატონო, სახემწიფო, სამონასტრო და სხვ.)

# ფელეტონი

## ავათმყოფი.

საბძელმა უთხრა ქარსაო“:
რას მომდგომიხარ კარსაო?
ბზეს შემომიტან ერთ მუჭას,
გაიტან ათის ძარსაო“!

„ნურც თქვენ ენდობით მკურნალსა,
შემოჩენილსა, გრძნეულსო“
ურჩევდა თურმე ვეზირი
„ზაქი-ჰამია“ სნეულსო—

„სიფრთხილეს თავი არ სტკივა“:
ძველებს არ უთქვამთ ტყვილადო.
საწამლავს შემოგაპარებს
ორგული თაფლზე ტკბილადო“.

— ეგ არაკები სოლომონ
ბევრისგან გამიგონია,—
ხავსს ვეჭიდები, მეც ვიცი,
მაგრამ რა მეტი ღონია?

შენც ხედავ, კარზე გვადგია
ჭირი რამ გაუკითხავი;
ქონის დადნობას ვინ ჩივა?..
არც ხორცი შეგვრჩა, არც ტყავი.

მოყვარე გადამთიელი
მპირდება განკურნებასა
მოსულა ქრისტეს სახელით
იფიცავს მისვე მცნებასა.

ჩემი სატკივრის შემგნებიც
უნდა ჩემსავით იწვოდეს!..
თუ მომატყუა, იმან და
იმისმა ღმერთმა იცოდეს!

მგელი თუ ძაღლი, მგლის ფერი,
რომელიც შემჭამს ერთია!—
აწ ველარ გავსტეხ ჩემ სიტყვას
თავ-მდები თვითონ ღმერთია.

ეს სთქვა და თვალი დახუჭა,
ბრძანა: „გააქრეთ ლამპარი!..
ბნელაში ძილის მომყვანი,
მითხარით ვინმე ზღაპარი“!

ყველა მოშორდა. აქ დარჩა
მარტო სოლომონ მდივანი
და ზღაპარს ეუბნებოდა,
უკუღმართ-ბედის მჩივანი.

„იყო და არა იყო რა...
სცხოვრებდა ერთი მელია

დაუდგა უკუღმართი დრო,
საკვები შემოელია,

მიეკრა წელზე მუცელი
შიმშილით!.. ხდებოდა სული
დაიწყო გამწარებულმა
აქეთ და იქით ცუნცული.

ნახხარ ადგილს მიადგა,
დასუნაგობდა, დარბოდა...
დიდი ხნის გაცივებული
სოფელი, რაღას არგოდა?

ხეტიალის დროს უკარო
ნახა პატარა სამღებრო,
შიგ ქური დახვდა თავღია
და გაუსინჯა, ვითომ, ძრო.

შიგ ჩაყო თავი, ჩახედა!
— რას ეძებს! რა ევულება—
აუსხლტა ფეხი ჩავარდა
უეცრად, გახდა ძირს ტვლეპა.

შიგ საღებავი მდგარიყო.
ამოიწუმპა მელია.
ძლივს ამოფორთხდა წვალებით
ძალ-ღონე გამოელია.

მოჰკიდებოდა ლილა და
ლილისა ფერი ედვა მას!..
ჰგმობდა უკუღმართ ქვეყანას,
სწყევლიდა მშობელ დედ-მამას.

ტყვილა დახარჯა, უბრალოდ,
სამდურავ-საყვედურები!..
ამოიძუა შერცხვენით
და ჩამოყარა ყურები.

„აღარა გაეწყობა-რა“!
სთქვა—საქმეს უსაშველოსო—
მე მოგახსენებთ, სხვა ფერმა
ტყავი არ დამიძველოსო!..

რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ
ჩვეულებით და ზნითაო!
რას მიზამს ფერის გამოცვლა
და ისიც ცოტა ხნითაო?

თავს ნუგეში სცა და ძველ გზას
გაუდგა ისევ ნელ-ნელა,
ვინც შეხვდა, ჰკითხა ამბავი
მან მოატყუა სუყველა.

უთხრა: რათ გიკვირს ნეტავი
ეს უცნაური ფერიო?
ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
**ახლა ვარ წმინდა ბერიო.**

სულს შეუდექი... ცოდვების
აწ მონანება მინდაო;
იერუსალიმს მივდივარ
იქ უნდა გავხდე წმინდაო.

თქვენც გირჩევთ სულზე იფიქროთ,
შეუდგეთ ჩემსა კვალსაო
გადახდა უნდა ამ სოფლის
ხორციელ სესხს და ვალსაო.

გაბრიყვდა ზოგი პირუტყვი
და აედევნა მელასა.
როგორც მოწაფეს მოძღვარი
წინ მიუძღოდა ყველასა.

შიგ მოჰყვა ერთი მამალი
ერთი ოფოფი და ძერა
მელას ხელშია იმათი
უკუღმართ ბედისა-წერა.

რომ დაალამდათ ერთ ქვაბში
შეიდენ დაისადგურეს
ვით განდეგილის წესია
ლოცვის წინ კარი დახურეს.

მოძღვარმა უთხრა მოწაფეთ:
უნდა სთქვათ აღსარებაო
სამ ცოდვას ღმერთიც შეგინდობსთ
და მეოთხეზე წყრებაო.

რაღა გზა ქონდათ დათანხმდენ
მიჰყვენ ცბიერის ნებასა
და გულში აღარ ელოდენ
საწყლები გათენებასა.

წადგა ბრალმდებლად მელია
და საკანონოს მომხდელად
გამოგონებულ ხრიკებსა
თავზე ადებდა მათ ხელად.

ზოგს ის შესწამა, ზოგს ესა
სასჯელიც გადაუწყვიტა:
წაავლო პირი და ყველას
იქავე თავი წაწყვიტა.

აჰა ელასა—მელასა
ძილი გაამოს ყველასა
სხვა რაღა მოეთხოვება.
გინდ ბერად შედგეს... მელასა!..

სთქვა და წამოდგა მეზღაპრე
გათავდა. აწ კი კმარაო!..
მაგრამ სნეულმა მიუგო,
ჯერ სულ არ გითქვამს!.. არაო.

რათ დაგავიწყდა ოფოფი
და მწევარ მეძებრებიო
სიკვდილის წინეთ თავმდებსა
მეც იმას ვევედრებიო.

აკაკი.

# ნადული.

„შენი ხელები პირში მიძევს. ნელ-ნელა გულაპავ, რომ სულ ჩაგყლაპო და, თუ სასიკვდილოდ შენ ჩემგან მონდომილმა, სიკვდილის წინეთ ფართხალი დაიწყე-გაჯავრდები!.. გცემ და ტყუილი არ გაამხილო!.. თუ გაამხილე, მეწყინება!.. გლანძღავ, გაგინებ, გაგკიცხავ და თუ შენ იწყინე, მე პირიქით გაგირისხდები და ბევრს რამეებს შემოგწამებ. და თუ მოითმინე, გაჩუმდი, ჩემიანებში რომ დავრჩები, საცინლად აგიგდებ!.. გრძნობა-გონების სისუსტეს გიკიჟინებ.“ აი თურმე რა ყოფილა ზოგიერთების აზრით „ძმობა,“ „ერთობა“ და „სიყვარული!..“ ნახევარი საუკუნეა, რაც სომხებთან არც ვედრება და არც ყვედრება აღარ გაგვიდის: სადაც კი შემთხვევა მიეცემათ მკბენარობას არ გვიშლიან და თუ ჩვენ სამაგიეროს გადუხდელად, მარტო ხმა ამოვიღეთ, პირიქით გვიჯავრდებიან და თითქო ბავშვები ვიყოთ, გვეუბნებიან; „გაჩუმდით, თორემ მგელი მოვა და შეგჭამთო!“ სწორე მოგახსენოთ, ამ გვარმა საბავშვო პოლიტიკამ, თავი მოგვაბეზრა და ამას წინეთ გაზეთ «თემში» მოვათავსე წერილი, საგულისხმო სომხების და არა სამტრო. იმ წერილის მთავარი აზრი ის იყო, რომ ჩვეულებრივ მტრობისა და გაუტანლობისათვის თავი დაგვენებებია და დღეიდან მაინც ძმურად ხელ-ჩაკიდებული დავდგომოდით სწორ-გზას. მიუხედავათ ამ მთავარი აზრისა, ჩვეულებრივად გაჯავრებულან და ერთ სომხის ინტელიგენტს „თემის“ № 10 დაუბეჭდია საწინააღმდეგო წერილი. მაგრამ ეს წერილიც რაღაც ახირებულია!.. სიტყვებს ბანზე აგდებს და მაინც თავისას გაიძახის: „ერი ერთიანი, მთლიანის ინტერესებით გამსჭვალული წარმოუდგენელიაო! „რაც ინგლისელი ლორდის იდეალია, ის იმავე ინგლისელ ბურჟუა-კაპიტალისათვის სამარის გათხრას ნიშნავს. აგრეთვე რაც კაპიტალისტის იდეალია, ის ინგლისის მუშის კლასიურ ინტერესების გამო პირდაპირ დაღუპვააო!“ ვიფ! სთქვა და გაათავა! მერე რაო? ვინ არის ამის წინააღმდეგი? ერთი კლასი მეორე კლას ებრძვის. ეს ასე ყოფილა და იქნება ცხოვრებაში. რა გასაკვირალია, რომ ლორდის, ბურჟუასი და მუშის მოთხოვნილება, ანგარიში სულ სხვა და სხვაა და ბრძოლაა მათში? აბა რომელიმე ნაცია მივიდეს უთხრას ინგლისელებს: ჩვენ გარეშეები მოვდივართ თქვენ ჩასაყლაპავად და რადგანაც თქვენ შორის კლასთა ბრძოლაა, ხმა არ ამოიღოთ აბა, თუ ის მებრძოლი კლასები არ შეერთდენ და არ ებრძოლონ ერთად გარეშეს! შინაური ბრძოლა სულ სხვაა, რომელსაც შინაურულად გამორიგება ეჭირვება და გარეშე კი სულ სხვა!—ეს კარგად უნდა ესმოდეს სტატიის დამწერსაც, ამით იმას ის უნდა სთქვას, რომ ერთი წოდების დანაშაულობაში მთელ ხალხს წილი არა აქვსო. განა ჩვენ კი მარტო ერთ წოდებაზე მივუთითეთ? მოვიხსენიეთ ყველა წოდება, რაც კი ერს შეადგენს: მაღალი, დაბალი, ნასწავლი, უსწავლელი, სამღვდელოება, ვაჭრობა და სხვანი. და ვინღა დარჩა?—მუშაო?.. კეთილი და პატიოსანი. მაგის უნდომი არც მევარ, მაგრამ ვაი რომ სიტყვა „მუშა“ სხვა და სხვა ნაირად გვესმი'. აქ ერთი შემთხვევა მაგონდება და გავიხსენებ იმას:

ერთხელ მე და ერთ მესტამბეს სხვათა შორის გვქონდა შემდეგი საუბარი: მე მუშა ვარ, პროლეტარი და შენ კი ბურჟუა!—მითხრა დაკვეხნით.

— რამდენათაც მე ვიცი, შენ მესტამბე ხარ და თვეში ქირას ას მანეთს თხოულობ, მე მწერალი ვარსულ ვერაფერსაც ვერ ვიღებ. ვუპასუხე მე.

— რად უნდა იღებდე განა. შენი მუშაობა, მუშაობაა? წერ გასართობად. შენი მუშაობა ტვინის ქეიფია და არა მუსკულით! ჩაუყოფ კალამს საწერელში, ეს ლით მუშაობა. მე ვიღალები, ვიქანცები და მიტომაც წმინდა მუშა ვარ.

— და რომ მწერლები არ იყონ, თქვენ სადღა იქნებით?

— მწერლები ყოველთვის იქნებიან.

— რომ მუქთათ იმუშაონ და თქვენ კი ფართხალში სასყიდელი იღოთ?

— ფართხალში კი არა შრომაში. მე მუშა ვარ.

— შენი მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი უჯრიდან მეორეში გადაგაქვს „ან-ბანი“ აკოწიწებ და ბეჭდას.

— მერე მაგას შრომა არ უნდა? ერთი მხრისგან მეორესკენ ხელის ქანება, მუსკულებს არ ღალავს?

-- რასაკვირველია ღალავს!.. მაგრამ მაინც ორი მოძრაობის მეტი არ არის ბეჭვდის დრო. ახლა ჩემიც ნახე! დავანებოთ თავი ტვინს და მუსკულებზე გაერთი მოძრაობა, ამოვიღებ კალამს—ორი, დავაჭერ ქაღალდზე—სამი, მოვხაზამ—ოთხი და ახლა გეკითხები: შენი ორი მუშაობა თუ მუსკულით მუშაობაა, რატომ ჩემი ოთხი არ გადის?

— შენი მუშაობა რა მუშაობა?! შენ ბურჟუა ხარ, ამიტომ რომ თავადის ჩამომავალი ხარ და მე კი პროლეტარი ვარ გლეხი.

— ბიჭოს!.. შენ ჩემზე ნაკლებსა შრომობ, მეტ ქირას იღებ, შეძლება მეტი გაქვს და მაინც კიდევ პროლეტარობით ტრაბახობ? ბევრი რამ ვუთხარი, მაგრამ ვერასფერი ვერ შევაგონე. დაიჟინა: მუშა ვარ და მუშა ვარო!.. ახლა გადავიდეთ ჩემ წინააღმდეგ სტატიაზე. ვსთქვათ რომ არ არსებობს ერი. კლასები არ შეადგენენ ერს—ნაციას. მხოლოდ მუშები შეადგენენ. და რომელი მუშები? თუ იმაზე ამბობთ, იმ წოდებაზე, მართლა მუსკულით რომ მუშაობენ, რატომ ისე ცდილობენ, განსხვავდენ სხვა ტომის მუშებისაგან? სად არის მათი „ძმობა“ „ერთობა‘‘ და „სიყვარული?“ ამ ოცდა ათი წლის წინეთ მარტო ქართველები იყვენ ტვირთის გადამტან მუშებად ტფილისში და დღეს კი სულ სომხები არიან. აგრეთვე მეეზოვებათაც... ქართველი ერთიც აღარსად სჩანს. ამიტომ, რომ იმათ ბოიკოტი აქვსთ გამოცხადებული და მხოლოდ სომხობას ეტანებიან. მეტყვიან ეს წვრილმანი რამეაო! კა მაგრამ თუ კი წვრილ რამეშიაც ასე მტკიცედ ირჯებიან, სხვილმანში რაღა იქნება? ასე ყოლიფრის გამოქექა და გამომზეურება არ ვარგა და მეც ჩემი სტატია მიტომ კი არ დავწერე, რომ სომხებისა და ქართველებ შორის განწყობილება გამემწვავებია. პირიქით, მე ის მსურს, რომ ძველ უაზრო პოლიტიკას ორივემ თავი დაანებოს და ამიერიდან მაინც კეთილგანწყობილება დაარსდეს ქართველებსა და სომხებს შუა, რომ ორივე ძმურად ხელიხელ ჩაკიდებული მიდიოდნენ სწორი გზით. თორემ ორივეს ხიფათი მოგველის და მეც მიტომ უკანასკნელად ვაფრთხილებ წინდაწინვე, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება!..

აკაკი.

6) მიწის საკითხი-საშუალოთ და საერთოთ.

7) რამდენი იწევს სოფელში თავის მიწაზე წლის სარჩოს.

8) ვინ სად მუშაობს ყანას წლის სარჩოთ.

9) ვინ სად მუშაობს ყანას გასასყიდათ.

10) შინაური მუშა ცხოველები და სხვა შინაური ოთხფეხი და ფრინველი.

11) შინაური მეურნეობა (მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და სხვა.)

12) სოფელში მომუშავე ხელოსნები კაცი და ქალი. (დურგალი, ხურო მჭედელი და სხვა.)

13) სოფლის გარედ ამავე მაზრაში ხელოსანი თუ სხვა რამის მოხელე ამავე სოფელში მცხოვრები ქალი და კაცი.

14) სხვა და სხვა ქალაქებში (ქალაქების სახელები) რამდენი მუშაა ამ სოფლიდგან წასული პროფესიის მიხედვით ქალი და კაცი.

15) რამდენმა დატოვა ეს სოფელი და ამავე მაზრაში სხვაგან ჩასახლდა ამის მიზეზი.

16) მაზრას გარეთ (და სად) რამდენი გადასახლდა.

17) წერა კითხვის მცოდნეთა რიცხვი ორივე სქესის (წლოვანების მიხედვით შედარება.)

18) სკოლა, მისი ისტორია და მოწაფენი.

19) სოფლის გარეთ რამდენი მოსწავლეა და რა სასწავლებელში.

20) სოფელში და სოფელს გარეთ მყოფი ცოტად თუ ბევრად განათლებული პირები.

21) მეურნეობის კულტურის ნიშნები (ნამყენი, ვენახი, ბაღი—აბრეშუმი, ჩარჩოიანი სკა და სხვა. (ისტორიით)

22) რამდენს აქვს ოდა, კამოდი. ტანისამოსისშკაფი, გასაშლელი სტოლი, გრამოფონი, გაზეთი, წიგნები და სხვ.

23) ჩაცმა დახურვა ორივე სქესის (წინანდელთან შედარება-ევროპის გავლენა).

24) ზნე-ჩვეულება, ცრუმორწმუნოება. ევოლიუცია და მისი გავლენა სარწმუნოებაზე, ტირილზე, ქორწილზე, მიმოსვლაზე, მეურნეობაზე შრომაზე, ზნეობაზე სამედიატორო სამართალი, (სოფლის და ნაწილის მომრიგებელ მოსამართლე) სასამართლო (სუდი).

25) სოფლის დუქნები (რას ყიდიან, რას ყიდულობენ.)

26) დამნაშავეთა რაოდენობა და დანაშაულის ხასიათი-(სოფელში და სოფლის გარეთ ამ სოფლის შვილთა).

27) მოძრაობის მსხვერპლი (სიკვდილი, დაწვა, გადასახლება) ამ სოფელში და სოფლის გარეთ.

28) დღევანდელი მისწრაფება და სულის კვეთება.

29) საერთო დასკვნა. რამდენათაც შესაძლებელია, სადაც ეს საჭიროა მექნება გატარებული ათი წლის შედარებითი წესი. ზოგჯერ მეტიცა.

შეიძლება რომელიმე მუხლი ჩაემატოს კიდევ რადგან ეს გეგმა ჩემი შედგენილია ვსთხოვ ყველა გულშემატკივარს თავის მხრივ რაც მიაჩნია ჩასამატებლათ მომაწოდოს „თემის“ რედაქციაში—გურულისათვის. შრომის დაწყებას ვფიქრობ, ამ ზაფხულშივე თუ ჩემგან დამოუკიდებელმა მიზეზებმა ხელი არ შემიშალეს. სრული დარწმუნებული ვარ ჩემი მეზობლები შემწეობა-დახმარებას არ მომაკლებენ.

**გურული.**

---

სწორედ კარგი აზრი მოსვლია ბ. გურულს, რომ ამ საქმისათვის ხელი მოუკიდნია.

სასიამოვნოა ისიც, რომ მან მოიწადინა თავის გეგმის გამოქვეყნება. ჩვენ დარწმუნებული ვართ მიმბაძველები აღმოუჩნდება.

დღეს ბევრი ინტელიგენტი სოფლად სცხოვრობს. ზოგი მასწავლებლობს, ზოგი მღვდელ-მსახურებას ეწევა, ზოგიც მეაფთიაქეა, ფელდშერია და სხვ.

ყველა ამათ შეუძლიათ ყურადღება მიაქციონ თავიანთ სოფლების და მთელი რაიონების აღწერას. ზემოდ მოყვანილი გეგმა ცოტაოდენ სამსახურს გაუწევს. შეუძლიანთ იგი თავის მხრით კიდევ შეავსონ.

სოფელში მცხოვრებ ინტელიგენტებმა და საზოგადოდ ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენ სრულებით არ მოგვეპოვება გეოგრაფიული აღწერილობა საქართველოსი. რასაკვირველია, ასე შედგენილი აღწერილობა ჩვენი სამშობლოსი არ იქნება სამეცნიერო გამოკვლევა. მაგრამ მას ექნება მასალის მნიშვნელობა. სხვა სპეციალისტი მას უეჭველია გამოიყენებს მეცნიერების სასარგებლოდ. რომ ვუცადოთ ყოველმხრივ გამოკვლევას, ბევრი დრო გავა. ჩვენ კი გვესაჭიროება გზის მაჩვენებლის მსგავსი რამ. ამისთანა აწერილობა ადვილი შესადგენია, რადგანაც დაემსგავსება ვრცელ წერილს რომელიმე კორესპონდენტისას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი გულშემატკივარნი მამულიშვილნი, რომელთაც ბინად არჩეული აქვსთ ჩვენი სოფლები, ამ მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და შეძლებისადაგვარად შეასრულებენ ამ მოვალეობას.

ამ ზაფხულს რომ შეუდგნენ აღწერას შემოდგომაზე საკმაო მასალა მოგროვდება. აღმოჩნდებიან მსურველები და ამ მასალას შესაფერი დალაგება—შემუშავების შემდეგ გამოსცემენ.

ამნაირად გაგვიჩნდება საინტერესო წიგნი ჩვენი სამშობლო ქვეყნის გასაცნობად.

## „კამათის“ ბოლო.

„დასრულდა ესე ამბავი“...

„სახალხო გაზეთს“ ეტყობა თემის პასუხმა ისეთი თავზარი დასცა, რომ ის ველარ ბედავს მისგანვე დაწყებულ „კამათის“ გაგრძელებას. აი რა არის დასტამბული ამ გაზეთის სამშაბათის ნომერში:

> ბ-ნ გრიგოლ დიასამიძეს. ჩვენსა და „თემის“ შორის ატეხილ კამათის დროს, „თემმა“, სხვათა შორის სთქვა, ვითომც (?!) „სახალხო გაზეთს“ წარმომადგენლები ჰყავდეს იმ საზოგადოებრივ ჯგუფში, რომელსაც თ-დი მ. ვ. მაჩაბელი ხელმძღვანელობს. ჩვენმა რედაქციამ პასუხი მოსთხოვა ბ-ნ დიასამიძეს და სთხოვა, ეჩვენებინა თუნდაც ერთი ისეთი წერილი „სახალხო გაზეთიდან“, რომლიდანაც სჩანდეს რომ გაზეთსა და თ-დ მაჩაბელს შორის რაიმე იდეიური კავშირი არსებობდეს. „თემმა“ არც ერთი ასეთი წერილი არ დაგვისახელა, მხოლოდ დარიგებას გვაძლევს, მოერიდეთ ისეთ პირებს, რანაირიც თავ. მ. ვ. მაჩაბელიაო.
>
> ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, „თემს“ რომ ჩვენს შეკითხვაზე გაეცა პასუხი. მაგრამ მისი ხელმძღვანელი ისეთ მოუფიქრებლობას(?!)იჩენს, რომ გვეშინიან უფრო შორს არ შესტოპოს(?!) და უფრო მოუფიქრებელი(?!)სიტყვები არ წამოისროლოს (აი კიდევ ერთი ნიმუში საუცხოვო ზრდილობისა!) ამიტომ ვსთხოვთ, თუ თუ არსებითად ვერ შეუძლიან (?!) წერა, ჩვენს შეკითხვაზეც სულ ნუ გაგვცემს პასუხს, რადგანაც ისეთს წერილებს, რანაირსაც „თემი“ ჰბეჭდავს ჩვენს წინააღმდეგ, ამიერიდან სრულიად უყურადღებოდ დავსტოვებთ ხოლმე.
>
> **რედაქცია.**

მკითხველი ხედავს, რომ რედაქცია ძალიან დაბნეულა.

წერილი ჯერ ისე დაუწყვია, თითქო კერძო პირს მიჰმართავსო. ამას სათაური მოწმობს. მერე კი წერილში ეს მიმართვა აღარსადა სჩანს.

რედაქციას დაუჟინია, გინდა თუ არა მაჩვენე ისეთი წერილი, რომლიდანაც სჩანდეს იდეიური კავშირი „სახალხო გაზეთისა“ და მიხ. მაჩაბლისო.

განა ამაში იყო საქმე? განა ამას ვუსაყვედურებდით „სახალხო გაზეთის“ ხელმძღვანელებს?

ჩვენ ვკითხულობთ, თქვენი თანამშრომლები რად მუშაობენ მიხ. მაჩაბელთან ერთად აგრარულ კომისიაში, რად გინდოდათ გაზეთის გადაცემა მის ხელში, როდესაც ეს კაცი თქვენი აზრის, თქვენი იდეის კაცი არ არის,—ესენი კი ჩვენ გვთხოვენ რაღაცა წერილებზე მითითებას იდეურის კავშირის დასამტკიცებლად მათ და მიხ. მაჩაბელს შუა. იდეური კავშირი რომ გქონოდათ, მაშინ არც არავინ იტყოდა. საქმე ის არის, რომ იდეური კავშირი არა გაქვთ და მუშაობით ზოგიერთი თქვენგანი მასთან ახლოსა დგახართ და არ ამხელთ.

მაგრამ კმარა ამაზე ლაპარაკი. რედაქცია გვემუქრება: „ამიერიდან თქვენს წერილებს სრულიად უყურადღებოდ დავსტოვებთ ხოლმეო“.

მოწიწებით მოვახსენებთ: „ამის გამო ჩვენ მწუხარებას არ მივეცემით“. თუ რედაქციამ მხილებასა და პოლემიკაში ასეთი სისუსტე გამოიჩინა, სამაგიეროდ არჩილ ჯაჯანაშვილმა რიხიანად ასეთი წერილი დასტამბა ,,სახალხო გაზეთში‘‘ რედაქციის მიმართ:

> ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.
>
> ამ უკანასკნელს დღეებში კამათი გაიმართა „სახალხო გაზეთსა“ და „თემს“ შორის. „სახალხო გაზეთში“ ბ-ნ დიასამიძის წინააღმდეგ დაბეჭდილი იყო სამი წერილი: ერთი სარედაქციო შეკითხვა, ერთი წერილი ბ-ნ შინაურისა და ერთიც ბ-ნ არჩილ ჯორჯაძისა. გაზეთი „თემი“ კი კამათის დროს მიხსენიებს მეც. რა საბუთითა სჩადის ამას გაზეთი „თემი“, როდესაც ჩემი სახელითა და გვარით ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში არც ერთი წერილი არ დაბეჭდილა, და ფართო მკითხველი საზოგადოება შეიძლება სრულიადაც არ მიცნობდეს (ამიერიდან გაგიცნობსთ)? იქნება ეს არის გაზეთ „თემის“ ხელმძღვანელის აზრით სალიტერატურო ეთიკა? დაე მიუდგომელმა მკითხველმა დააფასოს, რამდენად საკადრისია ასეთი საქციელი.

მოვახსენებთ ,,სახალხო გაზეთის‘‘ სულის ჩამდგმელს აქ არავითარი ეთიკის დარღვევა არ არის. ჩვენ, რომ რომელიმე მისი ფსევდონიმი გამოგვეაშკარავებინა, მაშინ მივცემდით მას საბუთს ამისთანა ბრალდებისას.

თუ ჩვენ ვთქვით: ,,რა მოეთხოვება იმ ლიტერატურულ საქმეს, რომლის სათავეში სდგას ჯაჯანაშვილის არჩილისთანა ,,ლიტერატორი‘‘,—ეს სრულებით არ ნიშნავს ლიტერატურულ ეთიკის დარღვევას, რადგანაც გაზეთის ხელმძღვანელის და სულის ჩამდგმელის ხსენება ყველგან მიღებულია პოლემიკის დროს და ისედაც. მაგალითად: თუმცა გაზ. ,,რეჩს‘‘ ბ. ელკინის სახელი აწერია, როგორც ოფიციალური რედაქტორისა, მაგრამ მას ყველა ბ. მილიუკოვის და გესსენის გაზეთად სთვლის. პოლემიკის დროსაც ასე იხსენიებენ.

მართალია გოლიათ არჩილ ჯაჯანაშვილსა და ჯუჯა მილიუკოვს შუა დიდი განსხვავებაა, მაგრამ, გვგონია, მაინც, რომ დანაშაული ამ მხრით მის წინაშე არა მიგვიძღვის-რა.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით ნადავლის ჩამოთვლას ,,მოპირდაპირეს‘‘ დამარცხების შემდეგ. მკითხველებმა ცხადად დაინახეს, თურა ავლა-დიდების პატრონ „ლიტერატორებთან“ მოგვიხდა კამათი.

დასასრულ არ შეგვიძლია მხოლოდ სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ, მგონი, ამიერიდან აღარ მოგვიხდეს ამგვარ ,,კამათით‘‘ გართობა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს გაზეთში ამ მცირე განმარტებას. ამას წინად „თემში“ ბ. სოფრომ მგალობლიშვილმა მოათავსა რამოდენიმე წერილი თავის მოგონებისა. პატივცემული მწერალი მოგვითხრობს გორში ქართული სცენის მოწყობის ისტორიას, სხვათა შორის, გვიხსენიებს მე და განსვენებულ ნ. დიასამიძეს, როგორც ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიმღებთ. ამ შენიშვნამ გამოიწვია ბ. გ. თუმანიშვილის წერილი (იხ. „თემი“ № 6). ცნობილი საზოგად. მოღვაწე სწერს: „თბილისის ქართული თეატრის ამხანაგობამ **თავის ხარჯით** ხელ ახლა გადააკეთა გორის როტონდა და მოაწყო ის სასცენოთო.“ მეც მსურს სიმართლე აღვადგინო. მართალია, ივ. მაჩაბელმა გადმოგვცა თხუთმეტი თუმანი, მაგრამ ეს ხომ მცირე წვლილი იყო სცენის მოწყობის საქმეში. განა მარტო ინ უხარ-მახარ ხალას ეყოფოდა თხუთმეტი თუმანი?! სოფრომ მგალობლიშვილმა მხოლოდ გაკვრით აღნიშნა შრომა გორის სცენის მოწყობაში. მას არ აღუნიშნავს რომ, როტონდის ბაღი უპატრონობის გამო ჭაობად იყო გადაქცეული და რომ ნ. დიასამიძე თავის ურმებით იქვე ლიახვის პირიდამ ქვიშას აზიდვინებდა მთელი თვე ჭაობის ამოსაშრობად. გორის აგურხანებში ნატეხი აგურები და ფხვნილი რაც იყო, ჩამოვზიდეთ ქვიშაზე მოსაყრელად და შესავალი გზების დასამშვენებლად. რამდენი ტანჯვა-წვალება, რამდენი ოფლი დავღვარეთ მე და ნ. დიასამიძემ, განა შეიძლება ავწეროთ? ამოდენა სამუშაოს აბა ერთი მიბრძანეთ როგორ ეყოფოდა თბილისის ამხანაგობისაგან 150 მანეთი? ბოდიშს ვიხდი პატივცემულ გ. თუმანიშვილის წინაშე, მაგრამ ეს არ შემეძლო არ აღმენიშნა*).

**ალ. თუთაევი.**

---

**შენიშვნა**: გ. თუმანიშვილმა მხოლოდ სხვა შემოწირულებათა შორის აღნიშნა თბილისის ამხანაგობის შემოწირულებაც. დაწვრილებით მას არ მოუწადინია აღწერა, ვის რა ღვაწლი და შრომა მიუძღოდა ამ საქმეში.

**რედ.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**გრიგოლ დიასამიძე.**


# განცხადება

ამხ. **მ. ლაღიძის** და **კომპ.**

ხელოვნურ მინერალურ, ხილისა და სამკურნალო წყლების ქარხანა.

**თფილისი, გოლოვინის პროსპ. 6. ტელეფონი № 441.**

ეს წყლები კეთდება განსაკუთრებით ბუნებრივ, ქიმიურად გაწმენდილ და არჩეულ. ხილის წვენიდან თვით წყალისრულიად განწმენდილი და გამოხდილია.

**წყალი კეთდება მანქანა ვაკუმით სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.**

მომხმარებელთ შეუძლიანთ დარწმუნდნენ, რომ ჩვენი წყლები მშვენიერი გემოსია და კეთილი სუნნელებისაა.

თფილისის გუბერნიის გამგეობის საექიმო განყოფილების შემწეობით დამტკიცებულია, რომ ჩვენი ფირმის წყლები არის

უოვლად კეთილი თვისებისა

ვაფრთხილებთ მკითხველებს, რომ ზოგიერთი ვაჭრები სხვა ქარხნების იაფ წყლებს ჩვენს წყლებში სცვლიან.

ყველგან **წ ყ ლ ე ბ ი** მოითხოვეთ **მ. ლაღიძისა** და **კომ.** ამხან. ქარხნისა. ყურადღება მიაქციეთ ბოთლის სტამბს, რომელსაც აზვია ჩვენი ფირმის დაღი.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლების კარგი თვისებებისათვის ოქროს დიდი და ვერცხლის მედლებით.

---

თფილისის ოლქის სასამართლოსთან დაარსებულია ნაფიც ვექილებისა და მათი თანაშემწეები

# კონსულტაცია

ძლევენ რჩევას სიტყვიერათ და წერილობით, აგრეთვე არდგენენ არზებს, საჩივრებს და სხვა საჭირო ქაღალდებს.

ღიაა ყოველ დღე, უქმეების გარდა 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

**ღარიბებს ფული არ ერთმევათ**

---

# ახალი წიგნების ბიბლიოთეკა

სასახლის ქუჩა, თავადაზნაურობის სახლი, ეზოში, მეორე სართული, მარჯვნივ № 126.

**ყველა ახალი წიგნი რუსულ ენაზე შეიძლება დაიკვეთოს მსურველმა წასაკითხად.**

სამი დღით . . . . . . 10 კაპ.
ერთი თვით . . . . . . 75 კაპ.

**ბედ უნდა დასტოვოს წამღებმა 1 მან.**

---

# დასაბეჭდად მზადდება

# ფიზიოლოგიის და ანატომიისა

# ათი საუბარი

**რომელიც იყო გამართული ქ. თფილისს, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში,** 1908—9 და 1909 1910 **წ. წ.**

1. ფილტვები და სულის თქმა.
2. გული, სისხლის მოძრაობა და სისხლი.
3. საჭმელ-სასმელის მოსანელებელი გზა და საზრდოება.
4. საზრდოს შერგება და საზრდოობის წესი.
5. ღვიძლის ფილები, თირკმელები და კანი.
6. თავისა და ხერხემლის ტვინი.
7. ხუთი გრძნობა: შეხება, ყნოსვა და გემო.
8. ყური და სმენა, თვალი და მხედველობა.
9. კუნთების მუშაობა და სხეულის სითბო.
10. ადამიანის აგებულების საერთო მიმოხილვა.

თვითეული საუბარი, დასურათებული, გამოვა 32 გვერდიან წიგნაკად. ათივე საუბარი ანუ ათი წიგნაკი ხელის მომწერთათვის, წინასწარის დაკვეთით ეღირება გაგზავნით

**ერთი მანეთი**

შემდეგ კიდევ დაიბეჭდება ათი საუბარი ჰიგიენის დარგისა.

**ქ. თფილისი.** **ექ. ვახტანგ ღამბაშიძე.**

---

# ნ. ლოზტაკი.

თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 38. „რაზგონი“ ფოშტის პირდაპირ.

საუკეთესო სავაჭრო; **ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილ**

ფასები სავაჭროზე კონკურენციის გარეშეა.

ველოსიპედები, მოტოციკლები, ავტომობილები,

# გრამოფონები, პატეფონები

ფირფიტები ამათთვის

საუკეთესო ახალ-ახალი სავაჭროები, ყველა ამაების საჭირო ნაწილები.

**სამაგალითო სახელოსნო რემონტისათვის.**

4—6

---

გაიხსნა ტეხნიკური და ელექტროტეხნიკური კანტორა

**მატერიალური საწყობით**

# „დვიგატელ“

ვ. ყულიჯანოვი, ნ. როსტომაშვილი და ამხ.

(გოლოვინის პროსპ. № 38, „რაზგონი“ ფოსტის პირდაპირ).

**მიიღება ყოველგვარი ტეხნიკური და ელექტროტეხნიკური სამუშაო.**

მოწყობა ელექტრონის სადგურებისა. გამართვა ელექტ. განათებისა. სიგნალიზაცია—ტელეფონი—ელ. ზარები. ელექტრონული სეტყვის ამცდენები და სხვ. (ГРАДООТВОДЫ)

ბევრნაირი ელექტრონული ეკონომიური ლამპებია ასარჩევი.

---

# დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:

**ზაქ. პ. ფალიაშვილის:**

№ 1 „**მრავალ-ჟამიერ**“: მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით ფასი 30 კაპ.

№ 2. **ორი ქართული რომანსი**: ა) „ნანა შვილო“ ფასი 40 კ. და ბ) „ახალ აღნაგო სულო“ ფასი 40 კაპ.

№ 3. „**ქართული საეკკლესიო საგალობლები**“ (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მ. 25 კ.

№ 4. **რვა ქართული სახალხო სიმღერა** ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკკომპანიმენტით ფასი 1 მან.

№ 5. **ქართული სახალხო სიმღერების კრებული** (იმერული, გურული, რაჭული სვანური და ქართლ-კახური), ფონოგრაფის შემწეობით ჩაწერილი. ფასი 1 მ. 50 კ.

**იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში**

და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая Рѣчь“-ში (გოლოვინ. პრ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქოვებისა. **მთავარი საწყობი** ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (საპიორის ქუჩა № 18.)

---

წიგნის „კულტურა“ გამომცემლობა

მიიღება ხელის მოწერა **ოთხ დიდ წიგნზე**

კარლ კაუცკი
,,ანტიური ქვეყანა‘‘
(იუდელთა და ქრისტიანეთა რელიგია)

2. **ანტონ ფურცელაძე**
,,მაცი ხვიტია‘‘
რომანი სამეგრელოს ცხოვრებიდან, წინასიტყვაობით, ბიოგრაფიით და სურათით 300 გვერდი.

3. **ლავრენტი არდაზიანი**
,,ს. მეჯღანუაშვილი‘‘
რომანი თბილისის წარსული საუკუნის მე-50 წ. წ. ცხოვრებიდან, გრ. თუმანიშვილისა და სტ. ჭრელაშვილის კრიტიკული წერილებით, ბიოგრაფიით და სურათით 300 გვერდამდის.

4. ლევ ტოლსტოის
**ცნობილი რომანი**
,,აღდგომა‘‘
სურათებით, რომელშიაც ჩართული იქნება ლევ ტოლსტოის ,,უკანასკნელი დღენი‘‘, ბიოგრაფიული ცნობები, კრიტიკული წერილები, ავტორის სურათი და სხვა 620 გვერდამდის.

**ეს ოთხი წიგნი გამოვა ცალკ-ცალკე ერთსა და იმავე დროს და ეღირება ხელის მომწეროთათვის**

# ორი მანეთი

ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილათაც. ხოლო ვინც ერთად შემოიტანს მას მიეცემა პრემიათ კიდევ მე-5-ე საინტერესო კრებული ჩვენი ახალგაზრდა მწერლებისა

,,სააღდგომო საჩუქარი‘‘

შეიძლება ამ წიგნების ცალკ-ცალკე ხელის მოწერაც. ხელის მოწერა მიიღება სემენოვის ქ. № 4. სტამბა ,,ნადეჟდა‘‘ და აგრეთვე ქ. შ. წ. კ. გ. წიგნის მაღაზიაში და ყველა დაბა ქალაქებში ადგ. აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Семеновская № 4. К. Таварткиладзе.**


ელექტრო-შბეჭდავი სტამბა „გერმესი“ მუხრანის ქუჩ. № 13.